ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**31 მარტიდან**
**„ახალ თაობასთან" ერთად**
რაულ ჩილაჩავა
**ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს**
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...

რაულ ჩილაჩავა

ხუთშაბათი, 31 მარტი, 2016 №76 (7002) ფასი: 50 თეთრი

# ფორუმი მიდის, რესპუბლიკელები რჩებიან



„ისინი კოალიციიდან გამსვლელები, რა თქმა უნდა, არ არიან. მოილაპარაკეს, შემდეგ გარკვეული დრო დაგვითმეს. მე მგონია, ეს პოლიტიკური ვაჭრობის თემაა. ეს პოლიტიკაში მიღებულია. ამაში არაფერი საგანგაშო არაა"




გვ.4

მიიღო თუ არა პარლამენტის სპიკერობის გარანტია უსუფაშვილმა



გვ.6

## ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას მზაკვრული გეგმა ჩაეფუშა"

ივნისში ვიზალიბერალიზაციის პროცესი წარმატებით დასრულდება

## გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნების" ბრალია, რომ ვიზალიბერალიზაცია ჯერ არ გვაქვს"



პოროშენკო სააკაშვილის გუნდს იშორებს?

გვ.2

ISSN 1987-9385



## ვახტანგ გომელაური: „მე დიდ პატივს ვცემ საქართველოს პარლამენტს, მე ჩამოვედი თბილისიდან, რომ პასუხები გამეცა"

გვ.3



## „ნაციონალებს სიტუაციის არევა უნდათ და სუსის გაუქმებას ამიტომ ითხოვენ"

გვ.3

კარლო კოპალიანი: „ევროპის სახალხო პარტია სააკაშვილის დავალებებს ასრულებს"



## მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში კობა ნაყოფიას მანქანით დადის

ვისი საათი უკეთია ოდესის გუბერნატორს?

გვ.2

# გიორგი ვაშაძე: „ქართული ოცნების“ ბრალია, რომ ვიზალიბერალიზაცია ჯერ არ გვაქვს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებული ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ვაშაძე აფასებს.

***– ბატონო გიორგი, თბილისში ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი იმყოფება. ითქვა, რომ ის ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით ჩამოვიდა საქართველოში. რამდენად ადასტურებთ ამ ინფორმაციას?***

– ეს მისი ინიციატივით მოხდა. თუმცა ვფიქრობ, რომ ზოგადად ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ასეთი რანგის პირების ჩამოსვლა. ჩვენ ვმასპინძლობთ მას და გვექნება ინტენსიური შეხვედრები. ასევე დაგეგმილია მოინახულოს პოლიტპატიმრები, ვგულისხმობ ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავას და ახალაიას.

***– ისინი პოლიტიკური პატიმრები არიან?***

– დიახ და ეს ადამიანები პოლიტიკურ პატიმრებად აღიარებული არიან ევროსაბჭოს დადგენილებით.

***– მის განცხადებას ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟი მოყვა. რატომ გაკეთდა ამ ტიპის განცხადება?***

– სანამ განცხადებაზე გადავალთ, უნდა გვესმოდეს მთავარი, რომ რამდენად მნიშვნელოვანია ევროინტეგრაცია, ასოცირების შეთანხმება და ვიზალიბერალიზაცია. ამ ყველაფერში ნაციონალურ მოძრაობას მართლაც უზარმაზარი წვლილი მიუძღვის. პრობლემები არა ამ განცხადებაში უნდა ვეძებოთ...

***– სად უნდა ვეძებოთ?***

– უნდა ვეძებოთ ხელისუფლების მოქმედებებში. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი: ხელისუფლებამ დააგვიანა კონკრეტული რეფორმების გატარება, რის გამოც გადავადდა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ნაბიჯებით ყველაფერი გააკეთა, რომ სერიოზული კრიტიკა მიეღო ევროკავშირის მხრიდან. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ეს რიტორიკა და გამონათქვამები ევროკავშირის ლიდერების მიმართ, რომელთაც ადგილი აქვს. გაუმართლებელი და ყოვლად მიუღებელია კვაჭანტირაძის განცხადებები.



პოროშენკო სააკაშვილის გუნდს იშორებს?

***– თქვენი ოპონენტები ბრალად გდებენ, რომ სწორედ თქვენ, ნაციონალური მოძრაობა, უშლით ხელს ვიზალიბერალიზაციას. ევროპაში არასწორი ინფორმაციები გაგაქვთ და ასე შემდეგ. ამ ბრალდებებზე რას უპასუხებდით?***

– ეს აბსოლუტური სისულელეა! რას ნიშნავს ნაციონალური მოძრაობა უშლის ხელს?! კიდევ კარგი, რომ ევროპული სტრუქტურები არსებობს, თორემ ბიძინა ივანიშვილი ხესავით გადაგვრგავდა მთელ საქართველოს ერთი ადგილიდან მეორეზე. სწორედ ევროპელი ლიდერების მონაწილეობიდან გამომდინარე უწევს გარკვეულ დათმობებზე და კომპრომისზე წასვლა. რაც საქართველოში ხდება, არავისთვის უცხო არ არის და, მით უმეტეს. ევროპელი ლიდერებისთვის. ისინი ამ ინფორმაციებს ფლობენ.

***– რას გულისხმობთ? რა ხდება იმაზე უარესი, რაც თუნდაც თქვენს დროს არ ხდებოდა?***

– რაც ხდება მედიის მიმართ, მაესტროს და რუსთავი 2-ს ვგულისხმობ. რაც ხდება თუნდაც პირადი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ხდება ამ ქვეყანაში და ამ კუთხით სერიოზული პრობლემებია. ამას კარგად ხედავენ ჩვენი კეთილისმსურველები და რეკომენდაციებს ხშირად გვაძლევენ.

***– ამ რეკომენდაციებს ნაციონალური მოძრაობის დროს რატომ არ იძლეოდნენ?***

– ვინ გითხრათ, რომ არ გვაძლევდნენ. ამ რეკომენდაციებს გვაძლევდნენ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროსაც. საკმაოდ მკვეთრ მესიჯებში და გზავნილებში და ჩვენ ვასრულებდით ამ გადაწყვეტილებებს. ასე უნდა მოიქცეს „ქართული ოცნებაც“. უნდა მოუსმინოს, გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები, შემოთავაზებები და რეკომენდაციები.

არ შეიძლება ეს აბსურდული კრიტიკა, რომ ამაზე ნაციონალური მოძრაობა მუშაობს. ევროპის სახალხო პარტია არის ის პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი და როლი მიუძღვის საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის რეალიზებაში.

***– რატომ დაუკავშირდა ვიზალიბერალიზაცია არჩევნებს? არ გაქვთ იმედი, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და თავს იზღვევთ?***

– თუ რატომ დაუკავშირა არჩევნებს, ეს თავად განცხადების ავტორს უნდა ჰკითხოთ. ზოგადად არჩევნებთან დაკავშირებით კი გეტყვით, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ არჩევნები გააყალბოს. მას ამისთვის ყველა შესაძლებლობა აქვს. მას სხვა გზაც არ აქვს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი საოცარი ტემპებით და სიჩქარით ეცემა.

***– ვიზალიბერალიზაციით ზაფხულიდან ისარგებლებს ჩვენი მოსახლეობაო, გვპირდება ხელისუფლება და თქვენ ესეც ცრუ დაპირება გგონიათ?***

– ორივე ხელით ვუჭერ მხარს, რომ უვიზო მიმოსვლა მივიღოთ ევროკავშირთან. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა შემდეგ საკითხს – რომ არა „ქართული ოცნების“ უნიათობა და ეს კონტრპროდუქტიული მოქმედებები, ჩვენ ორი წლის წინ გვექნებოდა ვიზალიბერალიზაცია, უვიზო მიმოსვლა.



***– უკრაინაში განვითარებულ პროცესებზე რას იტყოდით? დავით საყვარელიძეს დაატოვებინეს თანამდებობა, დაკავებულია ერთი ქართველი პროკურორი ქრთამის აღების ფაქტზე. რა ხდება უკრაინაში? აღარ გწყალობთ პოროშენკო?***

– დაკავებულ პროკურორს რაც შეეხება, ნამდვილად არ ვიცი, ვინ არის ეს პირი. ქართული გვარით ბევრი ადამიანი შეიძლება იყოს უკრაინაში. რაც შეეხება დავით საყვარელიძეს, სიტუაცია არის შემდეგი: დათომ დანიშვნის დღიდან დაიწყო სერიოზული რეფორმები. დაუპირისპირდა ყველაზე გავლენიან კორუფციულ კლანს, შიგნით პროკურატურაში, ე.წ. ბრილიანტების პროკურორების საქმით არის ცნობილი ეს საქმე. მისმა ჯგუფმა დააკავა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჯგუფი თვითონ პროკურატურაში.

***– ეს იყო მისი განთავისუფლების მიზეზი?***

– დიდი ხანი იბრძოდა თვითონ სისტემა დათოს წინააღმდეგ, რადგან მან სისტემური რეფორმებიც გაატარა. პროკურატურის რეორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაკეთებულია და საინტერესო რამ მოხდა...

***– რა მოხდა?***

– პარლამენტში გენპროკურორ შოკინის გადაყენებამდე ორი საათით ადრე, რომელთანაც მიდიოდა კვალი ამ ბრილიანტების საქმიდან, შოკინმა ხელი მოაწერა დავით საყვარელიძის განთავისუფლებას და ამ ფაქტის წინაშე დააყენა საზოგადოება. მე უფრო ვეთანხმები იმ განცხადებას, რომ ეს არის რევანში კორუფციული ძალების. თუმცა ვფიქრობ, რომ სულ უფრო და უფრო სუსტდებიან ისინი და ჩვენი აქტიური ბრძოლის შედეგად, უკრაინა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიშორებს ასეთ მძიმე კორუფციულ კლანურ სისტემას, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას.

***– ამბობენ, რომ პოროშენკო მთლიანად აპირებს სააკაშვილის გუნდის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან. ამაზე რას იტყვით?***

– პოროშენკოს და ნებისმიერ სხვას აქვს ძალიან მარტივი არჩევანი, ან ის ირჩევს პროგრესის, რეფორმების გზას, ან ექცევა ზეგავლენის ქვეშ ამ კორუფციულ-კლანური მმართველობისას. პოროშენკოსაც ეს არჩევანი აქვს. თუ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ეს ნიშნავს, რომ მან ვერ გაუძლო მნიშვნელოვან გამოწვევებს და გახდა ნაწილი ამ ყველაფრის და თუ საწინააღმდეგო ნაბიჯს გადადგამს და მეტ კარტბლანშს მისცემს ჩვენს გუნდს, ეს ნიშნავს იმას, რომ პოროშენკოს რეალურად სურვილი აქვს, რომ დაამარცხოს კორუფცია.

***– ანუ არ გამორიცხავთ, რომ მან მიიღოს გადაწყვეტილება და ჩამოგაშოროთ ხელისუფლებას?***

– თეორიულად არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, თუმცა ამ ეტაპზე მსგავსი რამ არ განიხილება.

# მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში კობა ნაყოფიას მანქანით დადის

ნონა ცაბაძე

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი „გატაცებებით“ უკრაინასაც აოცებს. როგორც „იზვესტია“ ირწმუნება, ოდესის გუბერნატორი კიევის ანტიკორუფციულ ფორუმზე 11 ათასი დოლარის ღირებულების საათით გამოცხადდა, რომელიც მოოქროვილი და 18-კარატიანი, 40 მილიმეტრიანი დიამეტრის მქონე ბრილიანტის თვლებით არის გაფორმებული.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, სააკაშვილის განცხადება ანტიკორუფციულ ფორუმზე, რომ თურმე უკრაინამ უნდა გაამკაცროს და ებრძოლოს კორუფციას, განსაკუთრებით საბაჟოებზე.

ადგილობრივი მედია იმასაც იტყობინება, რომ მალე უკრაინაში მოიჭრება ოქროს მონეტა ოდესის გუბერნატორისა და საქართველოს ექსპრეზიდენტის სააკაშვილის გამოსახულებით. მონეტა, ბუნებრივია, მოოქროვილი იქნება და, არც მეტი, არც ნაკლები, ფონად საქართველოს და უკრაინის დროშების გამოსახულება ექნება.

უკრაინულ მედიას თუ დავუჯერებთ, ადგილობრივები დიდად მოხიბლულნი და აღფრთოვანებულები არ არიან სააკაშვილის ახირებებით.



ვისი საათი უკეთია ოდესის გუბერნატორს?

ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი კიევს სტუმრობს. ოფიციალურ ვიზიტს უკრაინულმა მედიამ არაოფიციალური მხარეებიც მოუძებნა: მაგალითად, პრესისა და საიტების მთავარი სალაპარაკო თემა სააკაშვილის ძვირადღირებული „მერსედესი“ გახდა. სტრანა.უა-ს კორესპონდენტმა სასტუმრო Fairmont-ში შეხვედრაზე მისული გუბერნატორის მანქანა გადაიღო, რომელიც სააკაშვილის მძღოლმა შუა გზაზე გააჩერა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მოძრაობას ხელი შეუშალა.

როგორც ირკვევა, ავტომობილი Mercedes S63 AMG 144 ათას დოლარამდე ღირს. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტომობილს ქართული ნომრები ამშვენებს: GE-005-UA, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს – საქართველოსა და უკრაინის ლათინური ინიციალები და ნაციონალური მოძრაობის სიმბოლური ციფრი 5.

გუბერნატორის პრესსამსახურის ინფორმაციით, ციფრების და სიმბოლოების ასეთი კომბინაცია უბრალო დამთხვევაა.

„მანქანა მიხეილ სააკაშვილის მეგობარს, საქართველოს პარლამენტის წევრს ეკუთვნის“, – განუცხადეს ჟურნალისტებს პრესსამსახურში.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ამ „მერსედესით“ სააკაშვილი ჯერ კიდევ დეკემბერში, ოდესაში რეგისტრირებული სახელმწიფო ნომრებით მოძრაობდა.

სააკაშვილის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით „ახალი თაობისთვის“ კომენტარი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ გააკეთა.

***– ბატონო გიორგი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ქართველი დეპუტატის ავტომობილით გადაადგილდება, ასეა?***

– მერე რა არის ამაში განსაკუთრებული?! დიახ, ასეა.

***– ვისი კუთვნილი ავტომობილით მოძრაობს სააკაშვილი?***

– ამაში არაფერი დასამალი არ არის, ის როგორც ვიცი, კობა ნაყოფიას ავტომანქანით მოძრაობს. ამაში რა არის განსაკუთრებული და აჟიოტაჟის ასატეხი.

***– საუბარია, რომ ავტომანქანის ნომრებიც ქართულია...***

– ქართული ნომრებით დადის თუ არ ვცდები. ამისთვის არც მიმიქცევია ყურადღება.

***– ეს არანაირ პრობლემებს არ უქმნის უკრაინაში, როდესაც ქართული ნომრებით მოძრაობს?***

– არანაირად. რა პრობლემაა?! დეპუტატი აქ არაფერ შუაშია. ნაყოფია მისი მეგობარია და მეგობრის მანქანით დადის. მე ვფიქრობ, რომ ეს არანაირი პრობლემა არ არის და არც არავის დაუმალავს ეს ფაქტი.

***– საუბარია, რომ ასევე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მიხეილ სააკაშვილის საათმა, რომელიც თურმე მთელს მსოფლიოში მხოლოდ რვა ეგზემპლარი არსებობს და საკმაოდ ძვირადაც ფასობს. ამის თაობაზე რას იტყვით?***

– ჩემი ინფორმაციით სააკაშვილს ეს საათი არ აქვს.

საინტერესოა ბატონ ვაშაძის კომენტარი. „იზვესტიით“ გავრცელებული ფოტოების მიხედვით, სააკაშვილს მაჯას ნამდვილად ართყია ძვირადღირებული საათი. ლოგიკურ კითხვაზე, ნათხოვარი ხომ არ აქვს საათი სააკაშვილს, პასუხი არავის აქვს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალებს სიტუაციის არევა უნდათ და სუსის გაუქმებას ამიტომ ითხოვენ“

## კარლო კოპალიანი: „ევროპის სახალხო პარტია სააკაშვილის დავალებებს ასრულებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ჩაიშალა ვახტანგ გომელაურის გამოსვლა პარლამენტში, რატომ ითხოვს ნაცმოძრაობა სუს-ის გაუქმებას, რა ბრძანება გასცა სააკაშვილმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.

***– 30 მარტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის უნდა მოგესმინათ დეპუტატებს. სხდომის მოსმენაც ქვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. ნაციონალები ამბობენ, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა, რადგან ვახტანგ გომელაურს არაფერი ჰქონდა სათქმელი. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

– ამას როგორ მეკითხებით, როგორ შეიძლება მე ნაციონალების მოსაზრებას ვეთანხმებოდე. მაგათი მტკიცებით, ვახტანგ გომელაურს არაფერი ჰქონდა სათქმელი, ეს არის სისულელე და ბჟუტური. მათ სწორი აზროვნების უნარი საერთოდ დაკარგეს, არც ადრე ჰქონდათ, მაგრამ ახლა ნამეტანი მოსდით.

ეს სხვა ოპოზიციურ პარტიას რომ ეთქვა, ასე არ გავცხარდებოდი, მაგრამ ნაციონალები ამის თქმას როგორ ბედავენ? მაგათ მერაბიშვილს ჰქონდა სათქმელი და გომელაურს არა?! იმდენი რამე აქვს გომელაურს სათქმელი, ნაციონალებს ვერც კი წარმოუდგენიათ. მაგათ ხომ არ ჰგონიათ, რომ ვინმეს რამე დაავიწყდა? მათი ნაავკაცარი ყველას გვახსოვს.

***– თქვენი კოლეგა ირმა ნადირაშვილი იმასაც ამბობს, რომ ჩაშლილი სხდომა იმის დადასტურებაა, რომ სისტემამ კრახი განიცადა. ამ ვერსიაზე რას იტყვით?***

– მძიმედ არის ნაციონალების საქმე. რაც შეიძლება დროზე უნდა მივიდნენ ექიმებთან. მეეჭვება, რამე ეშველოთ, მაგრამ მაინც მივიდნენ. რაც შეეხება გომელაურს, ის კაცი კიდევ მოვა პარლამენტში.

***– როდის მოვა ის კაცი, პირველ აპრილს არ მცალიაო, თქვა.***

– რაკი თქვა, ეტყობა, არ სცალია. სხვა დროს დაესწრება სხდომას და ყველა შეკითხვას უპასუხებს. მისი პასუხები ყველას გვაინტერესებს. ყველაზე მეტად გომელაურის მოსმენა ნაციონალებს აშინებს. ამიტომაც არის, რომ დაჟინებით ითხოვენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაუქმებას.

თავიდან ძალიან მოეწონათ, სუს-ი შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ გამოეყო, მაგრამ ახლა სხვა გეგმები აქვთ და გაუქმება მოითხოვეს. იცით, რატომ უნდათ ნაციონალებს სუს-ის გაუქმება? არეულობის მოწყობა სურთ. უსაფრთხოების სამსახური კი მათ ბნელ ზრახვებს გამოააშკარავებს. ერთი სული აქვთ, როგორმე წყალი აუმღვრიონ. ამღვრეულ წყალში კარგად დაიჭერენ სკამებს.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს ასეთი სტრუქტურები და საქართველოშიც იარსებებს. იმის გამო, რომ ოდესაში ვიღაცას რაღაც




მოუნდა, ჩვენ სახელმწიფოსთვის საჭირო და აუცილებელ ინსტიტუტებს არ გავაუქმებთ.

***– ასეთი საჭირო ინსტიტუტი თუ არის სუს-ი, რატომ ჩაიშალა სხდომა?***

– ქვორუმის არარსებობის გამო. სხდომას რამდენიმე კაცი არ ესწრებოდა. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი.

***– თქვენ რატომ გააცდინეთ სხდომა?***

– იმიტომ გავაცდინე სხდომა, რომ რაღაც შემემთხვა. ამ რაღაცისგან არც ერთი ადამიანი დაზღვეული არ არის.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რა შეგემთხვათ?***

– როგორ არ შემიძლია და ეს ამბავიც ნაციონალების გამო მოხდა. იმ გადარეულმა სააკაშვილმა მოიფიქრა, რომ საქართველოში ახალი პარლამენტი აეშენებინა ქუთაისში. პარლამენტის აშენება 350 მილიონი დაჯდა, ამ დროს ქუთაისში წყალი არაა, რომ დავიბანოთ. ამის გამო ვერ ვრჩებით ამ ქალაქში და თბილისიდან გვიწევს იქ ჩასვლა. გზაში გამიფუჭდა მანქანა და ვერ ჩავედი.

ცუდია, როცა სხდომა ქვორუმის არარსებობის გამო იშლება, მაგრამ არც ასეთი ისტერიკა და პოლიტიკური შოუს მოწყობაა საჭირო. ნაციონალებმა ეს ამბავი ისე შეიცხადეს, თითქოს სხდომა პირველად ჩაიშალა.

***– პირველად არ ჩაშლილა, მაგრამ სხვა დროს სუს-ის უფროსის მოსმენა არ ყოფილა დაგეგმილი.***

– სხვა დროს მოვუსმენთ სუს-ის უფროსს. გომელაური აუცილებლად მოვა პარლამენტში და მაშინ მოვუსმენთ. მაშინ რატომ არ ხმაურობენ, როცა რეგისტრაციის გავლაზე უარს ამბობენ და სხდომას შლიან? ამის უფლება მათ აქვთ, მაგრამ ამ უფლებას ბოროტად იყენებენ. თან ამ მეთოდს იცით, როდის მიმართავენ? უმრავლესობის წევრები საზღვარგარეთ რომ არიან მივლინებებში წასული. სხდომაზე 30-მდე ნაციონალი ზის ხოლმე და უსირცხვილოდ არ გადიან რეგისტრაციას. ერთხელ ხომ შეიძლება, ჩვენ გამოც ჩაიშალოს სხდომა? ამათ ამას კუდი გამოაბეს და გაიძახიან, ხელისუფლებას ჩვენი ეშინიაო.

ნაციონალები ვინმეზე რომ ამბობენ, ეშინიაო, ცოტა უხერხულია ეს ამბავი. მაგათი პრეზიდენტი იყო, საკუთარი ჩრდილის რომ ეშინოდა, დიდი მამაცები არც ეგენი მყავდნენ. ცოტა შესაბამისი რაღაცები მინდა ვთქვა ნაციონალებზე, მაგრამ თავს ვიკავებ.

***– თავს რატომ იკავებთ?***

– გაზეთში ყველაფერს ხომ არ ვიტყვი, რასაც ამათზე ვფიქრობ, მკითხველთან უხერხულია. მოთმინებასაც აქვს საზღვარი და სადამდისაც შეგვიძლია, ვითმენთ, მაგრამ ამათი უტიფრობაა უსაზღვრო. შეიძლება „პრასტიტუტკა“ წესიერ ქალს დაჰკიოდეს, არასწორი წესით ცხოვრობო? ასეა მაგათი და ჩვენი საქმე.

***– მოდით, ოდნავ შევცვალოთ თემა, თქვენ მართლა იყავით რაიკომის მდივანი?***

– საიდან მოიტანეთ? ამას რომელიმე ნაციონალი დამაბრალებდა.

***– გამოიცანით, მიშა მაჭავარიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, კოპალიანი რაიკომის მდივანი იყოო.***

– რატომ გინდათ ახლა რაიმე ცუდი მათქმევინოთ გაზეთში? იცით, რა გადაეცით ჩემგან მაჭავარიანს? მაგ სიმართლით იარეთ შენ და შენმა პოლიტიკურმა სექტამ. ამ სიმართლით რომ იარონ მართლა, ხვალვე მოიტეხენ კისერს – მე არასდროს ვყოფილვარ რაიკომის მდივანი.

ასეთ რამეს რომ მაბრალებს ეგ დალოცვილი, ჩემი ბიოგრაფია ვერ გადაიკითხა? ნაციონალებივით კი არ მაქვს მიჩქმალული წარსული. რაიკომში მართლაც ვმუშაობდი, მაგრამ რიგითი თანამშრომელი ვიყავი. არც ის დამიმალია, რომ კომპარტიის წევრი ვიყავი. მე ამას ღიად ვიძახი, ნაციონალების უმეტესობა კი მალავს, რაიკომის მდივნის „ვოლგებში“ რომ არიან გაზრდილები. ისე, იმ კომპარტიის დედა ვატირე, ნაცმოძრაობას რომ არ ჯობდა.

***– კომპარტია და ნაცმოძი იქეთ იყოს და თქვენს კოალიციაში რა ხდება? ერთხელ კი გვითხარით, დათა თუთაშხიასავით ვარ და არავის საქმეში არ ვერევიო, მაგრამ იმის თქმა ხომ შეიძლება, მიდიან თუ არა რესპუბლიკელები?***

– მართლა არავის საქმეში არ ვერევი. სხვისი განკითხვაც კი არ მიყვარს. ნაციონალებსაც ხომ ხედავთ, როგორ კორექტულად მოვიხსენიებ. რაც შეეხება კოალიციას, ყველა კოალიცია, ადრე თუ გვიან, იშლება.

***– ამით იმის თქმა გინდათ, რომ იშლებით?***

– ადრე თუ გვიან, ჩვენ დავიშლებით. ამაში არანაირი ტრაგედია არ არის და ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. ნაციონალებსაც არ ვურჩევ ამ თემაზე საუბარს. ხელისუფლებაში ისინიც კოალიციური რეჟიმით მოვიდნენ, მაგრამ სად გაქრნენ მათი თანაკოალიციელები, დღემდე არ ვიცით.

***– რესპუბლიკელები თქვენთან არიან, სხვებისა კი მართლა რა გითხრათ.***

– რესპუბლიკელები ჩვენთან არიან და მათთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. როგორც რესპუბლიკელებს უყვართ ხოლმე თქმა, ნომერ პირველი პარტია კოალიციაში არის „ქართული ოცნება“. ჩვენ არავისთვის არ გვითქვამს, წადიო, მაგრამ წასვლას თუ ვინმე მოინდომებს, არ დავიჭერთ.

განსაკუთრებული აქცენტი რესპუბლიკელებზე კეთდება, მაგრამ ფორუმიც აკეთებს რაღაც ორჭოფულ განცხადებებს. დაველოდოთ



მოვლენებს და კომენტარები მერე გავაკეთოთ. ერთს კი ვიტყვი, მარტო ვიქნებით თუ კოალიციურ რეჟიმში, ამ არჩევნებს მაინც მოვიგებთ.

***– ნაციონალებს წყლის ამღვრევა და იქ სკამების დაჭერა უნდათო, თქვით და თუ მათ დაიჭირეს სკამები, როგორ მოიგებთ არჩევნებს?***

– საბედნიეროდ, არჩევნებზე გადაწყვეტილებას ხალხი იღებს. ნაციონალებს კი მართლა სურთ არეულობა. ამის დასტურია ჟოზეფ დოლის განცხადება. დარწმუნებული ვარ, მან ეს განცხადება სააკაშვილის მითითებით გააკეთა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ სააკაშვილის დავალებით გააკეთა?***

– სხვა ვინ მოიფიქრებდა ასეთ რამეს? ეს ბოლი თავს ჩვენს მეგობრად მიიჩნევს და ამ დროს გვეუბნება, არჩევნებს დავაკვირდებით და მერე ვიფიქრებთ თქვენთვის ვიზალიბერალიზაციის მოცემასო. ბატონ ჟოზეფს, საბედნიეროდ, არავინ კითხავს, ვის რას მისცემენ. რამდენადაც ვიცით, მისი ანუ ევროპის სახალხო პარტიის ბევრი წევრი გვიჭერს მხარს. ბოლმა თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო და არადიპლომატიურად მოიქცა.

***– მისი არადიპლომატიურობა რაში გამოიხატა?***

– ადამიანმა დამოუკიდებელ სახელმწიფოს განუსაზღვრა, როდის მივიღებთ ვიზალიბერალიზაციას. ამას დიპლომატია არ ჰქვია. ამიტომ გითხარით, რომ ამ განცხადების უკან სააკაშვილი დგას. ევროპის სახალხო პარტიის და ნაციონალების უცნაურ მეგობრობაზე არაკები დადის.

***– უცნაურ მეგობრობაში რას გულისხმობთ?***

– აშკარაა, რომ ნაციონალებთან რაღაც ვალში არიან. ეტყობა, რაღაც დიდ ვალში არიან, თორემ ასე არ მოეფერებოდნენ ხელისუფლების მიღმა დარჩენილ ძალას. პირველი წელი კიდევ გავიგე, მაგრამ 4 წელი გადის, რაც ნაციონალები დამთავრდნენ, მაგრამ მაინც ამათ მხარდაჭერაში არიან.

ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება, თანაც ხომ ხედავთ, რა შავი დღე გაუთენდათ უკრაინაში ნაციონალებს? იქედან მათ მალე გამოყრიან და აქ ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. ამაში ევროპის სახალხო პარტიაც ეხმარება. რაც არ უნდა ილაპარაკონ, ვიზალიბერალიზაციას მაინც მივიღებთ.

# ვახტანგ გომელაური: „მე დიდ პატივს ვცემ საქართველოს პარლამენტს, მე ჩამოვედი თბილისიდან, რომ პასუხები გამეცა“

30 მარტს პარლამენტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს ვახტანგ გომელაურისთვის უნდა მოესმინა.

სუს-ის ხელმძღვანელი პარლამენტში გამოცხადდა, მაგრამ ქვორუმის არარსებობის გამო სხდომა არ შედგა.

– მე ჩამოვედი თბილისიდან, რომ დეპუტატებისთვის პასუხები გამეცა, ჩემი ანგარიში წარმედგინა პარლამენტისთვის. დიდ პატივს ვცემ საქართველოს პარლამენტს. მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიცია იქნება თუ უმრავლესობა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.




მან ხაზი გაუსვა, რომ დეპუტატებმა წინასწარ იცოდნენ, რომ პარასკევს, 1 აპრილს, ის ქუთაისში ჩასვლას ვერ შეძლებს.

– მე მგონი, ჩემი ბრალი არ არის, ქვორუმი რომ არ შედგა, – დასძინა ვახტანგ გომელაურმა, – მომავალში ვნახოთ, რა იქნება. გადავწყვეტთ. კეთილი ენებათ და მოესმინათ.

სუს-ის შეფი დაანონსებულ ფარულ კადრებსაც შეეხო და განაცხადა, რომ დაზუსტებით ვერავინ იტყვის, გავრცელდება თუ არა ისინი.

**ვახტანგ გომელაური:**

– ამაზე ჩემმა მოადგილემ, ბატონმა ლევან იზორიამ ისაუბრა. ურთულესი თემაა ეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. ვერავინ იტყვის, რომ გავრცელდება ან არ გავრცელდება. იმედი გვაქვს, რომ არ მოხდება ეს და არ გავრცელდება, თუმცა 100%-იანი დარწმუნებით ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს არ მოხდება და არ გავრცელდება პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრები ან თუნდაც ტერორიზმისკენ მიდრეკილი ის კადრები, რაც აიტვირთა.

გომელაურმა აღნიშნა, რომ გამოძიება უკვე მიმდინარეობს პროკურატურაში.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეხმარებით. აღნიშნული საკითხების გამოსაძიებლად სპეციალური ჯგუფია შექმნილი, სადაც შსს-ც, ჩვენც ერთობლივად ვმუშაობთ და მაქსიმალურს ვაკეთებთ. რაც გაკეთდა პირველივე დღიდან, იყო სწორად გაკეთებული, ასე აფასებენ უცხოელი პარტნიორები. ჩვენთან ერთად ამერიკელი, ბრიტანელი პროფესიონალები მუშაობენ, – განაცხადა სუს-ის ხელმძღვანელმა.

რატომ ვერ მოხერხდა ვიდეოების დროულად დაბლოკვა?

ამ კითხვას გომელაური ასე პასუხობს:

– სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაიგზავნა საბუთები იუთუბზე, ინგლისურად ითარგმნა და გადაიგზავნა. განიხილეს და მას შემდეგ დაბლოკეს. მე ვფიქრობ, რომ სწრა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელები თუ ძალიან მოინდომებენ, მათ კოალიციიდან გააგდებენ“

## „არჩევნებამდე შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინასაარჩევნო პროცესებსა და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე საუბრობს.

***— რესპუბლიკელებმა განაცხადეს, რომ კოალიციიდან გასვლას არ განიხილავენ. ლევან ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარია არჩევნების მონაწილეობის ფორმატზე. კოალიცია არ ეთმობათ?***

— რატომ უნდა დათმონ, როდესაც იციან, რომ არჩევნებში მხოლოდ 1,5%-ს თუ აიღებენ.

***— საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია ერთიან ფორმატში უკეთეს შედეგს მიიღებს თუ პარტია „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად? ეს არ გამორიცხა კახა კალაძემ.***

— კალაძის მხრიდან ეს არის ერთგვარი ზეწოლა კოალიციის დანარჩენ წევრებზე. ორივე შემთხვევაში მთავარი ფაქტორი არის ბიძინა ივანიშვილი. კოალიცია დაახლოებით იგივე პროცენტულ მაჩვენებელს აიღებს, რაც ექნებოდა რესპუბლიკელებთან ერთად ან მათ გარეშე. მთავარი საკითხი ახლა არის, რესპუბლიკელები რჩებიან თუ არა კოალიციაში. რესპუბლიკელები თუ ძალიან მოინდომებენ, კოალიციიდან გააგდებენ. თუ არ მოინდომებენ, დატოვებენ.

***— რა საკითხზე შეიძლება იყოს ვაჭრობა, ისევ პორტფელების გადანაწილებაზე მომავალ მთავრობაში?***

— რა თქმა უნდა, და ასევე საპარლამენტო სიაში რამდენ ადგილს მიიღებენ. სხვა რაზე შეიძლება იყოს ვაჭრობა?! არ მგონია ფასეულობებსა და პოლიტიკურ იდეოლოგიაზე ერთმანეთს ხოცავდნენ შიგნით. ჩვენ ვნახეთ, თოფაძემ ხმა როდის ამოიღო, თითქოს ხიდაშელმა საგარეჯოში არჩევნები გააყალბა, მაგრამ მიზეზი გაცილებით პროზაული იყო. მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა აღარ იყიდა თოფაძის ლიმონათი, თოფაძემ ტენდერი ვერ მოიგო.



***— ვიცე-პრემიერმა კალაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სია მკვეთრად განახლებული იქნება. რეალურად შეძლებს „ოცნება“ განახლებას?***

— ძნელი სათქმელია, რადგან „ქართულ ოცნებაში“ შიგნით აბსოლუტური ქაოსია. მათ აქამდე ვერ ჩამოაყალიბეს ხედვა, პროგრამა. ჯერჯერობით ასევე გაურკვეველია, რა სახის იქნება მათი მომავალი, იქნება თუ არა კოალიცია თუ პარტია მარტო, დამოუკიდებლად წარდგება ამომრჩევლის წინაშე. ამას ემატება არაფორმალური მმართველობის სერიოზული საფრთხე. ამ ფონზე ძალიან ძნელია ახალგაზრდა, უცხოეთში განათლება მიღებულმა ადამიანმა მოინდომოს ამ პირობებში იქ მისვლა. სერიოზული პროფესიონალი, რომელიც რეალიზებულია, ამ პირობებს არ დათანხმდება.

***— კალაძემ გვითხრა, რომ მათ შორის იქნებიან სპორტსმენები.***

— სპორტსმენებმა უნდა მიხედონ სპორტს. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ პოლიტიკას სხვა პროფესიის ხალხმა უნდა მიხედოს. ესენი არიან: ეკონომისტები, იურისტები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები. დღეს „ქართულ ოცნებას“ ეკონომისტი არ ჰყავს, კომიტეტის თავმჯდომარე არის მეჭიაური, ამით ყველაფერი ნათქვამია.

***— არასაპარლამენტო ოპოზიცია, თავისუფალი დემოკრატები, ნაციონალური მოძრაობა, ვის რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე? თუ ვერ მოახერხეს მათ საარჩევნო ბლოკების შექმნა, ეს ხმებს დაფანტავს?***

— ცხადია, ხმებს დაფანტავს, მაგრამ რაც შეეხება ალასანიას პარტიას და ნაციონალურ მოძრაობას, ისინი ბარიერს გადალახავენ. არიან კიდევ პარტიები არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, რომელთაც აქვთ შანსი, ბარიერი გადალახონ თუ გაერთიანდებიან, მაგრამ ისე სწრაფად იცვლება ქვეყანაში მოვლენები, რომ ყველაფერი შეიძლება არჩევნებამდე მოხდეს და ეს ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

# ფორუმი მიდის, რესპუბლიკელები რჩებიან

შორენა მარსაგიშვილი

**მთელი ერი 30 მარტის მოლოდინში იყო. გავრცელებული ინფორმაციით, რესპუბლიკური პარტია „ქართული ოცნებიდან“ უნდა წასულიყო. ამის გარდა, თანამდებობები თინა ხიდაშელს, გიგლა აგულაშვილს და პაატა ზაქარეიშვილსაც უნდა დაეტოვებინათ.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა გასული კვირის დამლევს მიიღო. სარწმუნო წყაროები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ გადაწყვეტილების გამო პარტიაში დიდი კამათიც ყოფილა. ეროვნული კომიტეტის მოსაზრებას მინისტრები და პარლამენტის თავმჯდომარე არ ეთანხმებოდნენ.**

სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ მიიღო ეროვნულმა კომიტეტმა საბოლოო გადაწყვეტილება. პარტიის წასვლა-არწასვლის საკითხზე რესპუბლიკელებმა განცხადება რამდენიმე დღეში უნდა გააკეთონ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ომარ ნიშნიანიძემ აღნიშნა, რომ რესპუბლიკელების გადაწყვეტილების გასაიდუმლოება ქვოტების გარშემო არსებულ პოლიტიკურ ვაჭრობას ჰგავს.

— ისინი კოალიციიდან გამსვლელები, რა თქმა უნდა, არ არიან. მოილაპარაკეს, შემდეგ გარკვეული დრო დაგვითმეს. მე მგონია, ეს პოლიტიკური ვაჭრობის თემაა. ეს პოლიტიკაში მიღებულია. ამაში არაფერი საგანგაშო არაა. ალბათ, გადახარშავენ, ვილაც ეტყვის — „კი ბატონო“ ან „არა ბატონო“. რაღაცაზე შევთანხმდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანენ. ლაპარაკია ქვოტებზე და მეტზე არაფერზე, — აღნიშნა ნიშნიანიძემ.



პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კი ამტკიცებს, რომ რესპუბლიკური პარტია მთავრობიდან და კოალიციიდან გასვლის საკითხს არ განიხილავს.

— რესპუბლიკელები კოალიციაში არჩევნებიდან არჩევნებამდე გაერთიანდნენ. კოალიციები ზოგადად, სხვა სახის გაერთიანებებისგან სწორედ ამით განსხვავდება. ამიტომ, რესპუბლიკური პარტია საკითხს მთავრობიდან, კოალიციიდან გასვლის თაობაზე არ განიხილავს.

ახალი არჩევნები მოდის და მისთვის მზადება ყველა პოლიტიკური პარტიის ვალდებულებაა. მომავალ არჩევნებზე პარტიები ცალკე გავლენ თუ როგორ, ამაზე ყველა პარტია მსჯელობს. ჩვენ ამას ვფიქრობთ არა მხოლოდ ინდივიდუალურ რეჟიმში, არამედ კოალიციაში მიმდინარე პროცესებსაც ვაკვირდებით. ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა, რომ ჩვენი ნაბიჯები კოალიციურ სისტემაში სინქრონიზებული და გააზრებული იყოს. ამ პროცესის შედეგი, მალე იქნება ცნობილი.

### მიიღო თუ არა პარლამენტის სპიკერობის გარანტია უსუფაშვილმა

რესპუბლიკურმა პარტიამ კოალიციური ვალდებულებისადმი ერთგულება არაერთხელ დავადასტურეთ, ძალიან მძიმე და კრიზისულ ვითარებებშიც კი. ჩვენ ასევე ვართ განწყობილი ახლაც. ახალი არჩევნები ახალი პოლიტიკური ეტაპის დასაწყისია. ვინ როგორ დავლაგდებით, ეს მალე გახდება ცნობილი, — განაცხადა უსუფაშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, რესპუბლიკელებმა კოალიციაში დარჩენის სანაცვლოდ სპიკერის პოსტი მოითხოვეს. ითქვა ისიც, რომ ამის გარანტია პარტიამ ვერ მიიღო და არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში სპიკერი სხვა იქნება.

— ასეთი რამე არ მომხდარა. ამ საკითხზე არანაირი კენჭისყრა არ ჩატარებულა, — აღნიშნა მოქმედმა სპიკერმა.

◆ ◆ ◆

სანამ ერი რესპების ბედზე მსჯელობდა, კოალიციიდან შესაძლო წასვლაზე ფორუმელები ალაპარაკდნენ.

ამ თემაზე პირველი განცხადება რამდენიმე თვის წინ ფორუმის ერთ-ერთმა ლიდერმა ანი მიროტაძემ გააკეთა.

მან არ გამორიცხა, რომ ფორუმი კოალიციას დატოვებდა. თქვა, რომ ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას პარტიის ყრილობა მიიღებდა.

კოალიციიდან შესაძლო გასვლაზე საუბრისგან ბოლო დრომდე თავს იკავებდა გუბაზ სანიკიძე. ახლა ისიც ალაპარაკდა.

მისი თქმით, პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც არჩევნებში პარტიის დამოუკიდებლად მონაწილეობის მომხრენი არიან.




— 3 აპრილს ეროვნული ფორუმის ყრილობაა და მისი დელეგატები საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. არჩევნებში ცალკე მონაწილეობის ვერსიაც არსებობს. პარტიაში არიან წევრები, რომლებიც კოალიციაში დარჩენის მომხრეები არიან და არიან ადამიანები, რომლებიც ამის წინააღმდეგ მიდიან, — განაცხადა სანიკიძემ.

კოალიციიდან გასვლის შემთხვევაში ფორუმმა, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობასთან შექმნას ალიანსი.

კოალიციიდან მრეწველების შესაძლო გასვლაზეც მიდის საუბრები. ამბობენ, რომ მათ უკვე ჰქონდათ მოლაპარაკება ლეონიდ ჩერნოვეცკისთან. ეს უკანასკნელი ერთი პერიოდი აქტიურად ჩაერთო პარტიის მშენებლობაში, მაგრამ მოულოდნელად დაამუხრუჭა. გავრცელებული ინფორმაციით, ამაში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია და მან მოსთხოვა კიევის ყოფილ მერს გაჩერება.

კიევის ნამერალი ამბობს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მას თუ მაინც გასწევენ გვერდზე, მრეწველები უშანსოდ არ დარჩებიან. მათ პატრიოტთა ალიანსთან და დემოკრატიულ მოძრაობასთანაც აქვთ მისასვლელი.

კოალიციას შესაძლოა რამდენიმე პარტიაც დაემატოს. სოციალ-დემოკრატებმა და მწვანეებმა უკვე გამოთქვეს გაერთიანებაში შესვლის სურვილი, რასაც რესპუბლიკელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

# ლადო პაპავა გადადგა



ლადო პაპავა გადადგომის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას განმარტავს და აცხადებს, რომ ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და გადამწყვეტი ფაქტორი არ ყოფილა თვითმმართველობის წევრების შიმშილობის აქცია, თუმცა მისივე თქმით, მას არ სურს, რომ უნივერსიტეტში მსგავსი პროცესები მიმდინარეობდეს.

— იცით ჩემი პრინციპული პოზიცია ამ დღეების განმავლობაში, როდესაც ვამბობდი, რომ გადადგომის საკითხი არ განიხილებოდა. დადგა დრო, როდესაც გაანალიზებული და გაცნობიერებულია სხვადასხვა პროცესები, რაზეც საუბარს არ ვთვლი მიზანშეწონილად და მივიღე გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება. აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ჩემი მოთხოვნა, მაგრამ კანონის მიხედვით, მოვალეობის შემსრულებლის ასარჩევად საჭირო არის დრო, რაც ნიშნავს იმას, რომ 1-ელ მაისამდე მე ვარ რექტორი. შემდეგ კი ჩატარდება მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები, — განაცხადა პაპავამ.

**პირველი რადიო**

# ვახტანგ გომელაური: „მე დიდ პატივს ვცემ საქართველოს პარლამენტს, მე ჩამოვედი თბილისიდან, რომ პასუხები გამეცა“

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

ფად დაიბლოკა, სხვა ვიდეორგოლები უფრო გვიან იბლოკება ხოლმე. იგივე პრობლემები აქვს ბრიტანეთს, ამერიკას. პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებზე იკრიბება ჯგუფი, რომელიც წყვეტს, დაბლოკოს თუ არ დაბლოკოს ისინი. არც ერთ ქვეყანაში 1 წუთში, ან თუნდაც 15 წუთში ასეთი რაღაც არ ხდება. ნებისმიერი ვიდეოს დაბლოკვა უნდა გადაწყვიტოს საიტის ხელმძღვანელობამ, ჩვენ არც წვდომა გვაქვს და არც უფლება, რომ საიტი დავბლოკოთ.

დაინიშნენ თუ არა 25 ობიექტზე ოფიცრები, ოდეერები?

— როდესაც სუსი გამოეყო შსს-ს, კანონის მიღების შემდეგ ეს სამსახური გაუქმდა. პარლამენტის მიერ დამტკიცდა, რომ 25 სტრატეგიულ ობიექტზე უნდა მივლენილიყვნენ ოფიცრები, თუმცა 16 კაცამდეც არ არის ჯერ დანიშნული, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ეს არ ხდება ერთი პირის გადაწყვეტილებით. ძველ კანონში ეწერა, რომ შს მინისტრი იღებდა გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სამსახურში ოდეერის დანიშვნის შესახებ.

— დღეს ეს ხდება ორმხრივი ხელშეკრულებით. თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგია, ეს ადამიანი არ დაინიშნება. სუს-ის უფროსი ვერ დანიშნავს ადამიანს რომელიმე სამსახურში ოდეერად, თუ იქიდან თანხმობა არ იქნება, — დააზუსტა ვახტანგ გომელაურმა.

სუს-ის უფროსი რუსული პროპაგანდის პრობლემასაც შეეხო.

— კონტრდაზვერვა მაქსიმალურს აკეთებს. რა თქმა უნდა, ფონი მომატებულია, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო წელია. ეს ყოველი საარჩევნო წლის წინ იმატებს. არა მარტო რუსული რბილი ძალები, სხვა ქვეყნის ბევრი სპეცსამსახურია შემოსული საქართველოში და ურთულეს სამუშაოს ატარებს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, — განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ რაღაც ფონი აწეულია რუსული მიმართულებით.

— თუმცა არა მარტო რუსული სპეცსამსახურის თანამშრომლები, არამედ ჩვენი მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლებიც არიან შემოსულები და მუშაობს კონტრდაზვერვა, — აღნიშნა სუსის ხელმძღვანელმა.



# მანუჩარ მაჩაიძე: „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა დაუშვა, რომ ნაციონალებისგან არ გაწმინდა მთელი რიგი უწყებები“

მარიამ მჭედლიშვილი





## „თავისუფალი სექსის პროპაგანდისტები იმეორებენ ბოლშევიკების განცხადებებს“

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოში დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. თბილისის საკრებულოს წევრი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი მანუჩარ მაჩაიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ დაძაბულობას, ძირითადად, ყოფილი მმართველი პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქმნის.

**მანუჩარ მაჩაიძე:**

– არჩევნები მოდის და ვითარება ქვეყანაში მართლაც დაძაბულია. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გადადგამს ნაბიჯებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. დაძაბულობას საქართველოში, ძირითადად, ნაციონალური მოძრაობა ქმნის. ნაციონალები ყველა თემას იყენებენ სიტუაციის დაძაბვისთვის და ქმნიან ისეთ სურათს, თითქოს სახელმწიფოსათვის მათზე თავდადებული არავინ იყოს. ახლა რომ დაიწყეს ვითომ ზრუნვა ხალხზე, ხელისუფლებაში რომ იყვნენ, მაშინ როგორ იქცეოდნენ? ეგენი არ იყვნენ, საკუთარ მოქალაქეებს ქუჩებში რომ ხოცავდნენ, ტყუილუბრალოდ იჭერდნენ, ქონებასართმევდნენ და ბიუჯეტიდან უზარმაზარ თანხებს ითვისებდნენ? რამდენი ადამიანი ჰყავთ გაუბედურებული! „ქართული ოცნების“ მთავარი შეცდომაც ისაა, რომ თავისი ადგილი არ მიუჩინა ნაცმოძრაობის დამნაშავე წევრებს.

***– რას გულისხმობთ?***

– სასამართლო, პროკურატურა და უამრავი სხვა უწყება გავსებულია ნაციონალების კადრებით. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დანაშაულში მონაწილეობდნენ. ახლა მასწავლებლებზე ატყდა ერთი ამბავი. არადა, ფაქტია, რომ სკოლებშიც ბევრია ისეთი, ვინც ნაციონალების სასარგებლოდ არჩევნებს აყალბებდა და სხვა უკანონობას ეწეოდა.

***– ნაციონალების ერთ-ერთი სახე – დავით საყვარელიძე გათავისუფლებულია უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან. ამბობენ, რომ სააკაშვილის სხვა გუნდელებსაც არ ელით კარგი დღე. ეს აისახება ნაცმოძრაობის მდგომარეობაზე?***

– ნაცმოძრაობისთვის ეს დიდი დარტყმაა. იმიტომაც აქვთ ამაზე ატეხილი გნიასი. ბოლოს და ბოლოს, უკრაინელი ხალხი მიხვდება, ვისთან აქვთ საქმე სააკაშვილისა და მისი ხალხის სახით. მათ უკრაინაში საკადრის პასუხს გასცემენ. რომელი რეფორმატორები ეგენი არიან! რა სამართლიანობაც აქ დაამყარეს, იმას მოაწყობენ უკრაინაშიც.

***– ყველაფრის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა ერთ-ერთ ძლიერ პარტიად რჩება.***

– ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს თავისი ელექტორატი, რომელიც მაქსიმუმ, 10%-ია. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომხრეებად რჩებიან ის პირები, რომლებსაც ხელში ჩაუვარდათ სხვისთვის წართმეული ქონება, ასევე სახელმწიფო ქონება ერთ ლარად. სააკაშვილის მმართველობის დროს იყო ყველანაირად პრივილეგირებული ჯგუფი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა. ეს ადამიანებიც ამ პარტიის მხარდამჭერები არიან. ნაცმოძრაობის ელექტორატში შედიან ასევე უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეები, რომლებსაც ნაციონალები ყიდულობენ. ამაში დიდი ფული იხარჯება. ნაციონალური მოძრაობა უზარმაზარი თანხების მფლობელია.

***– მმართველ კოალიციაში მიმდინარე პროცესებზე რისი თქმა შეიძლება?***

– „ქართულ ოცნებაში“ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. თავიდანვე ეს იყო გაერთიანება, რომლის წევრებსაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ. როცა ეს კოალიცია შეიქმნა, მისი მხარდამჭერი ვიყავი. სამწუხაროდ, მასში ნაციონალებთან შეკრულებიც აღმოჩნდნენ. ზოგიერთი პარტია გამოვა კოალიციიდან. ამაში ქვეყნისთვის საშიში არაფერია.

***– პოლიტიკურ ბრძოლაში პირადი ცხოვრების ამსახველი ფირებიც გამოიყენება.***

– ეს ცუდია. ასეთი რამის გამოქვეყნება დაუშვებელია. მე ამ პროცესში სხვა რამეც მაშფოთებს – ესაა გამონათქვამები სექსუალური ცხოვრების თავისუფლებისა და ერთნაირსქესიანთა ურთიერთობების დაკანონების შესახებ.

***– ასეთი გამონათქვამები არ უნდა კეთდებოდეს?***

– რასაკვირველია, არ უნდა კეთდებოდეს. რას ვასწავლით ჩვენს ბავშვებს? რისკენ ვუბიძგებთ? თავისუფალი სექსის პროპაგანდისტები იმეორებენ ბოლშევიკების შეცდომებს. ბოლშევიკებიც ამ ჩვენი თანამედროვე თავისუფლების მოყვარე მოღვაწეებივით მსჯელობდნენ. ლენინის დროს ასეთი იდეოლოგია იყო – ქალსაც და კაცსაც თავისუფლად უნდა ეცხოვრა, ეცვალა პარტნიორები, ბავშვს არ უნდა სცოდნოდა, ვინაა მისი მამა. ქალი საზოგადოებრივ საკუთრებად ითვლებოდა და უამრავ კაცთან ცხოვრობდა. ამ უკიდეგანო თავისუფლებამ საბჭოთა სივრცე მიიყვანა ვენერიული დაავადებების ისეთ აფეთქებასთან, რომლის მსგავსი არ არსებობდა. თავად ბელადი ლენინი და ნადეჟდა კრუპსკაიაც ათაშანგით დაავადდნენ. ლენინი სწორედ ამან მოკლა. ვენერიული დაავადებებით დაინვალიდდა და გარდაიცვალა მოსახლეობის დიდი ნაწილი.

***– შემდეგ, კომუნისტები ხელს უწყობდნენ ტრადიციული ოჯახების განვითარებას.***

– დიახ. ამ მწარე გამოცდილების მიღების შემდეგ წლებში კომუნისტებმა გარყვნილებას ბრძოლა გამოუცხადეს. ახლა, 21-ე საუკუნეში, შიდსიც მოედო მსოფლიოს. ეს დაავადება ჰომოსექსუალური წყვილებიდან წამოვიდა. საინტერესოა, რისი მიღწევა უნდათ თავისუფალი სექსის პროპაგანდისტებს საქართველოში? ეს ხალხი ამბობს, სახელმწიფო არაფერში არ უნდა ჩაერიოსო. ზნეობას რომ თავი დავანებოთ, დაავადებების გავრცელება სახელმწიფოს არ ეხება? პირადი ცხოვრების კადრები არ უნდა გავრცელდეს, მაგრამ დამღუპველია ასევე ისეთი განცხადებების გაკეთება, რომელიც აღვირახსნილობას უწევს პროპაგანდას. ამას უსმენენ მოზარდები და ბავშვები, რომლებსაც ამით შეიძლება ცხოვრება დაუმახინჯდეთ.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ტყუილია, რომ ევროპის სახალხო პარტია ნაცმოძრაობას მხარს უჭერს“

გულიკო ბალაძე

ბოლო ერთი კვირაა, ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე დოლი გვემუქრება, რომ ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას ვერ მივიღებთ თუ არჩევნებს დემოკრატიულად არ ჩავატარებთ. დეპუტატი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობას“ ამ საკითხზე ესაუბრა.



– საქართველოში ჩამოსვლისას დოლმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. მან უკან დაიხია. იმ რეაქციის შემდეგ, რაც მის განცხადებებს მოჰყვა საქართველოში, განაცხადა, რომ საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაციას მხარს უჭერს, – აცხადებს დეპუტატი.

***– დოლზე და საქართველოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე არის დამოკიდებული ჩვენი ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია?***

– ვიზალიბერალიზაციის საკითხი არ არის დამოკიდებული საპარლამენტო ან სხვა ტიპის არჩევნებზე. საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველომ ყველა პირობა შეასრულა ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის მისაღწევად.

***– ნაცმოძრაობას არ უნდა საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია?***

– ნაცმოძრაობა ცდილობს, როგორმე ხელი შეუშალოს საქართველოს განვითარებას. როდესაც ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებით საკითხი დგება ხოლმე, ყოველთვის ცდილობენ, პრობლემები შექმნან. დოლის პოზიცია არ ნიშნავს იმას, რომ სახალხო პარტია ევროპარლამენტში უპირისპირდება ვიზალიბერალიზაციას.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– ევროპის სახალხო პარტია ევროპაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების ვარიაციაა, რომლებიც ერთიანდებიან ამ ერთ მსხვილ გაერთიანებაში. ისინი უმრავლესობაში არიან ადგილობრივ პარლამენტებში, ვთქვათ, გერმანიაში და სხვაგან. ნაცმოძრაობამ ვერაფერით მოახერხა ამ გაერთიანებაში გაწევრიანება.

***– თქვენ?***

– საქართველოს მწვანეთა პარტია არის ევროპის მწვანეთა პარტიის მმართველი საბჭოს წევრი. ჩვენ ევროპის პარლამენტში ფრაქცია გვყავს. სულ ტყუილია, რომ ევროპის სახალხო პარტია ნაცმოძრაობას მხარს უჭერს. გარკვეულ როლს თამაშობს პერსონალური ურთიერთობები გარკვეულ პიროვნებებთან.

***– „ოცნება“ და თქვენ თუ მუშაობთ ევროპარლამენტის წევრ ევროპარტიებთან?***

– „ოცნებაზე“ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მწვანეთა პარტია სისტემატურად მუშაობს ევროპის მწვანეთა პარტიასთან. ჩვენ ვართ ევროპის სახალხო პარტიის მმართველი საბჭოს წევრები და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ვართ ჩართული. ახლაც ბრიუსელში უნდა ვყოფილიყავი, სადაც იმართებოდა მწვანეთა პარტიის ლიდერთა შეხვედრა.

***– რატომ არ წახვედით?***

– ტერაქტების გამო მოგვწერეს, არ ჩამოხვიდეთო. ალბათ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა დაწყნარდება სიტუაცია, ჩავალთ. ასე რომ, არავითარი პრობლემა ვიზალიბერალიზაციას არ ექნება.

# ჟოზეფ დოლი მერაბიშვილს, უგულავას და ახალაიას შეხვდა

## „ციხიდან დიდი ემოციით გამოვედი“





**გუშინ, 30 მარტს, ევროპის სახალხო პარტიის პრეზიდენტი ჟოზეფ დოლი ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავას და ბაჩო ახალიას ე.წ. მატროსოვის ციხეში შეხვდა.**

**– ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ მუშაობს თავის თავზე იმისთვის, რომ არ გამოვიდეს გაბოროტებული ციხიდან, – თქვა ციხიდან გამოსულმა დოლიმ.**

მან ის გზავნილები გააჟღერა, რომლებიც მას ყოფილმა მაღალჩინოსნებმა გადასცეს და აღნიშნა, რომ სამივე იბრძვის იმისთვის, რათა საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ქვეყანა.

შეხვედრა ციხეში ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

– მე მათ ვუპასუხე, რომ ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რათა საქართველო რაც შეიძლება მალე შევიდეს ევროპაში. ჩვენ გვინდა სახელმწიფო, რომელშიც კანონი კანონობს, უნდა იყოს სამართალი და დავამატებდი, რომ უნდა იყოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, იმისთვის, რომ საქართველოში ახალგაზრდები განვითარდნენ, იცხოვრონ აქ და საქართველოში ინვესტიცია შემოვიდეს, განაცხადა ჟოზეფ დოლიმ.

მან თქვა, რომ ციხიდან დიდი ემოციით გამოვიდა.

– როცა ადამიანი შედის ციხეში, ეს იქნება ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი თუ ყოფილი მერი, ის შედის ციხეში და იქ რჩება. მით უმეტეს, როდესაც სამართალი არ არის სწორი ყოველთვის მათ მიმართ.

მაგრამ მე მინდა ამავე დროს მადლობა გადავუხადო ხელისუფლებას, რომ მომცა საშუალება, ხანგრძლივი საუბარი მქონოდა ამ სამ ადამიანთან. ისინი აგრძელებენ მუშაობას. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ მუშაობს თავის თავზე, იმისთვის, რომ არ გამოვიდეს გაბოროტებული ციხიდან და პოზიტივი მაინც გამოიტანოს აქედან. ჩემთვის ეს ძალიან პოზიტიური იყო, – განაცხადა ჯოზეფ დოლიმ.

მან ხაზი გაუსვა, რომ გააგრძელებს მუშაობას ნაციონალურ მოძრაობასთან.

– ნაციონალური მოძრაობა იცავს ამ სამ ადამიანს და იცავს საქართველოს ევროპულ მომავალს, რომელიც ამ ქვეყანას აქვს, – განაცხადა დოლიმ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალურ მოძრაობას მზაკვრული გეგმა ჩაეფუშა“

## ივნისში ვიზალიბერალიზაციის პროცესი წარმატებით დასრულდება

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ევროპარლამენტარებს მოუწოდებდნენ, ვიზალიბერალიზაციისთვის მხარი არ დაეჭირათ.

დეპუტატმა გადაცემა „არჩევანში“ განაცხადა, რომ ეს მზაკვრული გეგმა მრავალწახნაგოვანია და ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობენ, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესს ხელი შეუშალონ.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ცდილობდნენ, ევროპარლამენტის დეპუტატებს მოუწოდებდნენ, რომ ვიზალიბერალიზაციისთვის მხარი არ დაეჭირათ. ეს დაუდასტურეს ყოფილ პრემიერ-მინისტრს. ცოტა ხნის წინათ, ბაქრაძე დოლს შეხვდა და ეჭვი მაქვს, რომ ამ ყველაფერს აქვს მიზანმიმართული გეგმა. პირველ რიგში, საზოგადოებას უარყოფითი მოლოდინები გაუჩნდეს.

მათი სურვილია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ წინა ხელისუფლება უხეშად ერევა პროცესებში და შეუძლია ერთგვარად შეაფერხოს საქართველო და ამით დაუცველობის განცდა გაუჩნდეთ.

დეპუტატის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ „ქართული ოცნება“ და ხელისუფლება ქვების სროლას დაუწყებდა სახალხო პარტიას და ამით ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბებოდა.

– საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ვალდებულება 100%-ით შეასრულა. ევროპარლამენტის სახალხო პარტიის ლიდერებმა არა თუ მხარი დაუჭირეს, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესი გაგრძელებულიყო და პოზიტიურად შეაფასეს, არამედ, დაჩქარება მოითხოვეს.

ეჭვი მაქვს, რომ ამ ყველაფრის უკან არის ნაციონალური მოძრაობის გეგმა, რომ, როდესაც შფოთვაა საზოგადოებაში, ხომ არ მოხდება ამის გადადება. როგორც ჩანს, უნდა მოველოდეთ, რომ ოდესაში თეთრ ცხენზე ამხედრებული მიხეილ სააკაშვილი მოუწოდებს ევროპარლამენტის ლიდერებს, მხარი დაუჭირონ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას. ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის წვლილი ამ პროცესში. ეს მარტივად გასაშიფრი გეგმაა, – განაცხადა სესიაშვილმა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის



თავმჯდომარე ირწმუნება, რომ ვიზალიბერალიზაციის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ვალდებულება შეასრულა. მისი აზრით, არა მხოლოდ საქართველოს უნდა ვიზალიბერალიზაცია, არამედ ევროკავშირი არის დაინტერესებული, რომ საქართველოს ჰქონდეს პერსპექტივები ევროკავშირში.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– დარწმუნებული ვარ, რომ ივლისში შეფერხებების გარეშე საქართველო მიიღებს ვიზალიბერალიზაციას და სახალხო პარტია მას მხარს დაუჭერს. ის ჩანაფიქრი, რაც ნაციონალურ მოძრაობას აქვს, რომ ზურგში ნაჯახი ჩაარტყას ჩვენს პერსპექტივებს და თავი წარმოაჩინონ ყოვლის შემძლედ და პოზიტივის წარმოსაჩენად, ჩაგეფუშებათ.

◆ ◆ ◆

ჟოზეფ დოლის შეფასებებს არ იზიარებენ ევროპარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები, რომლებიც 29 მარტს საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ.

როგორც მათ კურიერთან ექსკლუზიურად განაცხადეს, დოლიმ შესაძლოა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, საკითხი კი მთლიანად ევროპარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს.

ევროპარლამენტარების აზრით, ვიზალიბერალიზაცია არ არის დაკავშირებული რომელიმე ხელისუფლებასთან ან არჩევნებთან.

– ვფიქრობ, უპასუხისმგებლობა იქნებოდა ახლა ვიზალიბერალიზაციის პროცესი არჩევნებთან დაგვეკავშირებინა, რადგან ეს არ არის დაკავშირებული რომელიმე ხელისუფლებასთან ან წინა საარჩევნო და არჩევნების შემდეგ პროცესთან. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების მხრივ და არაა დაკავშირებული იმასთან, ვინაა ხელისუფლებაში, – აღნიშნა მწვანეთა პარტიის წევრმა ჰაიდი ჰაუტალამ.

ამავე საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროპის სახალხო პარტიის წევრმა პაველ სვობოდამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველო განიხილება ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად ქვეყნად რეგიონში, ევროკავშირთან ურთიერთობის კუთხით.

– იმედი მაქვს ახლა, როდესაც ევროკომისიამ წინადადება უკვე წამოაყენა, ევროპარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას ვიზალიბერალიზაციის შესახებ. იმედი მაქვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპარლამენტში პოზიტიური განწყობა იქნება.

პოზიტიური განწყობა იქნება სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების კომიტეტში, რომელიც სავიზო საკითხებზე მუშაობს. შემდეგ დებატები გაიმართება ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე. დარწმუნებული ვარ და იმედიც მაქვს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება იქნება პოზიტიური და მსგავსი განწყობა შეიქმნება ევროპარლამენტშიც. ოფიციალურად ამ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის სახალხო პარტიას მოსაზრება არ დაუფიქსირებია, ასე რომ, ჟოზეფ დოლიმ შესაძლოა, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. საკითხი მთლიანად ევროპარლამენტმა და არა ევროპის სახალხო პარტიამ უნდა გადაწყვიტოს, – განაცხადა პაველ სვობოდამ.

– საქართველოსთვის უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობის მინიჭებაზე განცხადება გააკეთა ევროპარლამენტის დეპუტატმა.

მონიკა მაკოვეის თქმით, საბჭოს შეხვედრა ივნისში იქნება და სწორედ ამის შემდეგ იქნება მიღებული რეზოლუცია.

– ვიზალიბერალიზაციაზე გადაწყვეტილებას იღებს ევროპული საბჭო და ევროპარლამენტი. საბჭოს შეხვედრა ივნისში იქნება და რეზოლუციაც ამის შემდეგ იქნება მიღებული. ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ საბჭოს, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის რაც შეიძლება მალე იყოს უვიზო მიმოსვლა, – განაცხადა მონიკა მაკოვეიმ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ექნება საშუალება, ევროპული სისტემის გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს, ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ევროპარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

დავით უსუფაშვილი:

– ვიზალიბერალიზაციის პროცესი გეგმის მიხედვით მიდის, საბოლოო თარიღები არც ევროპაში იციან და არც – საქართველოში. არც ერთ პოლიტიკურ ძალას, ქვეყნის შიგნით იქნება თუ ევროპულ ასპარეზზე, არ ექნება საშუალება, ევროპული სისტემის გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს. მომავალი არჩევნები არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა როგორც წინაპირობა ვიზალიბერალიზაციის პროცესზე. საქართველოს ჰქონდა კონკრეტული ვალდებულებები და ეს შესრულებულია ბოლომდე, ძალიან მაღალ დონეზე. დამატებითი ვალებულებები მოსალოდნელი არ არის.

მისივე თქმით, შესაძლოა, მათ საკუთარი გადმოსახედიდან, ჩვენგან დამოუკიდებელი ფონიდან გამომდინარე, ოდნავ სხვა პროცესი დაინახონ, მაგრამ არჩევნების საკითხის გარევა ამ საკითხში სრულიად წარმოუდგენელია.

– მაშინ ეს იქნება ევროკავშირის მიერ დადებული პირობის დარღვევა. ასეთი წინაპირობა ამ პროცესს არ ახლდა, – განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველო ივნისში ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულებას ელოდება. მანამდე იქნება უამრავი კომენტარი და შეფასება, მაგრამ მთავარია, ევროპარლამენტარებმა რეალურად შეაფასონ საქართველოს მთავრობის მიერ შესრულებული სამუშაო. საქართველოს მთავრობამ დანაპირები შეასრულა, ახლა ჯერი ევროპარლამენტზეა.

# როგორ აგვარებენ არალის ზღვის პრობლემებს

**ყაზახეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად იბრძვის თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ეკოლოგიური კატასტროფის მოგვარების – არალის ზღვის აღდგენისათვის. და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნია წყლის საკუთარი რესურსები და იგი მთლიანად არის დამოკიდებული ტრანსასაზღვრო მდინარეებზე.**

არალის ზღვის დაშრობის პრობლემა ისევე მწვავედ დგას პლანეტის ეკოლოგების წინაშე, როგორც ამაზონის ტყეების გაჩეხვის პრობლემა. ბოლო 30 წლის განმავლობაში არალი თავისი ადრინდელი ზომების 10%-მდე შემცირდა. მარილი დამშრალი ზღვის ფსკერიდან ქარს გადააქვს არამარტო რეგიონზე, არამედ მთლიანად პლანეტაზე, ანტარქტიდისა და ჩრდილო პოლუსის ჩათვლით, რაც ძლიერ გავლენას ახდენს მუდმივი ყინულების დნობაზე.

ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, სადაც მდებარეობს არალი, ბოლო წლების განმავლობაში ცდილობენ ამ პრობლემის გადაწყვეტას. 1993 წელს შეიქმნა არალის გადარჩენის საერთაშორისო ფონდი, რომელსაც შეუერთდნენ საერთაშორისო ინსტიტუტები, მათ შორის, ფინანსური დახმარების აღმოჩენით.

ზოგადად, ამ წლების განმავლობაში ზღვის გადარჩენის მიზნებზე მიმართული იქნა 10 მილიარდამდე დოლარი. თუმცა არალის გადარჩენის საერთაშორისო ფონდის მონაწილე ქვეყნებმა განსხვავებულად განკარგეს თანხები. ფაქტიურად დღეს მხოლოდ ერთი ქვეყანა – ყაზახეთი – პრაქტიკულად იღვწის ამ გლობალური ეკოლოგიური პრობლემის მოსაგვარებლად.

არალი დღეს, ფაქტობრივად, დაყოფილია ორ ნაწილად – დიდი (სამხრეთი) და მცირე (ჩრდილო). პირველი მდებარეობს უზბეკეთის ტერიტორიაზე და იკვებება რეგიონის ერთერთი უმსხვილესი მდინარის ამუდარიის წყლებით, მეორე მდებარეობს ყაზახეთის ტერიტორიაზე და ივსება სხვა მსხვილი მდინარის სირდარიის წყლებით. უკანასკნელი მიედინება უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის ტერიტორიებზე, და მისი წყლები აქტიურად გამოიყენება სოფლის მეურნეობისათვის. სწორედ სარწყავი მიწათმოქმედება იქცა არალის გათავთხელების ძირითად მიზეზად.

1990-ანი წლების დასაწყისში ანუ არალის გადარჩენის საერთაშორისო ფონდის ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან ყაზახეთმა ძალისხმევა მიმართა ზღვის თავისი ნაწილის გადარჩენაზე. აგებული იქნა მიწის დამბა წყლის სამხრეთით გადინების შესაჩერებლად, სადაც იგი უბრალოდ იკარგებოდა აორთქლების გამო. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის აპრილში კატასტროფული გარღვევის შედეგად დამბა დაინგრა, ამ მცდელობამ აჩვენა წყლის დონის აწევისა და მისი მარილიანობის შემცირების პრინციპული შესაძლებლობა.

ორი წლის შემდეგ პროექტს მიუერთდა მსოფლიო ბანკი, რომელმაც 85 მილიონი დოლარი გამოყო კოკარალის კაშხლის მშენებლობაზე (პროექტის რეალიზაცია დასრულდა 2005 წლის ბოლოს). 13 კმ სიგრძისა და 6 მეტრის სიმაღლის კაშხალი მოიცავს ბეტონის კაშხალს ჰიდროტექნიკური საკეტით ზღვის ჩრდილო ნაწილიდან სამხრეთ ნაწილში წყლის გატარების დასარეგულირებლად.

ანუ ყაზახეთმა ჩრდილო არალი ფაქტიურად გარდაქმნა შეკრულ ტბად, რომელსაც წყლით ავსებს საკუთარი წყაროებიდან. შედეგად მხოლოდ ერთ წელიწადში მცირე არალში წყლის დონე გაიზარდა 40-დან 42 მეტრამდე მსოფლიო ოკეანეს დონედან. წყლის ზედაპირის ფართი გაიზარდა 18%-ით, ხოლო წყლის მარილიანობა, დაწყებული დაახლოებით 20 გ/ლ-დან, მუდმივად კლებულობდა და დღეს უკვე 10 გ/ლ-ზე ნაკლებს შეადგენს (გათავთხელებამდე მარილიანობა არ აღემატებოდა 3 გ/ლ). წყლის დაბრუნებასთან ერთად დაიწყო ასევე მიმდებარე რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების აღდგენა. აღდგა თევზის სარეწი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მიმდებარე რაიონების ეკოლოგიაც.

მაგრამ ეს მხოლოდ ყაზახეთში ხდება.

ამუდარიის წყლის ჩადინებები დიდ არალში კვლავ მცირდება. დღეს მინდვრების რწყვაზე მიდის მდინარიდან წყლის ამოღების 92%. ანუ დიდ (სამხრეთ) არალამდე წყალი პრაქტიკულად არ აღწევს. და იგი ივსება მხოლოდ და მხოლოდ წყლის მცირე ჩადინებით ზღვის ჩრდილო, ყაზახეთის, ნაწილიდან. უფრო მეტიც, ყაზახეთისაგან განსხვავებით, რომელიც აქტიურად მუშაობს წვეთოვანი რწყვისა და სხვა წყალდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვაზე სოფლის მეურნეობაში, არც უზბეკეთი, არც თურქმენეთი და არც ტაჯიკეთი ამ მიმართულებით ნაბიჯებს არ დგამენ. შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს არსებული სარწყავი არხები – ბევრი მათგანი ჩვეულებრივ ტრანშეებს წარმოადგენს, რომლის კედლებში ჟონავს და ქვიშაში იკარგება უამრავი წყალი. რწყვის მთლიანი სისტემის მოდერნიზაციის შედეგად შესაძლებელი იქნებოდა ყოველწლიურად 12 კუბ. კმ წყლის დაზოგვა. თუმცა ეს ძვირადღირებული პროექტია – ჯდება 16 მილიარდამდე დოლარი. ამდენი ფული ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკა სერიოზულად დააზარალა მსოფლიო კრიზისმა, არ გააჩნიათ.

ამასთან, უზბეკეთი და თურქმენეთი კვლავ ზრდიან ტენის მოყვარული ბამბის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობებს ბამბის საექსპორტოდ გასატანად, რაც ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს წყლის დონეზე მდინარეში.

ყოველივე ამის ფონზე რამდენიმე წლის წინ უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა არალის გადარჩენის საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე განაცხადა, რომ არალის ზღვის გადარჩენა „საეჭვოა, პრაქტიკულად იყოს შესაძლებელი“, და შესთავაზა ფონდისა და საერთაშორისო დონორების სახსრების მიმართვა არა ზღვის გადარჩენაზე, არამედ „არალის დაშრობის შედეგების დაძლევაზე“, ანუ შესთავაზა არა სენის, არამედ მისი სიმპტომების მკურნალობა.

ერთერთი წინადადება გულისხმობდა მინიტბების შექმნას წყლის დარჩენილი ნაწილიდან და ხეების მასობრივ დარგვას არალის დამშრალ ფსკერზე, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას და კომუნალური და სამკურნალო დაწესებულებების წყლის გაუსნებოვნების ხელსაწყოებით უზრუნველყოფას, წყალასაღები ნაგებობების აღჭურვას ქლორატორი დანადგარებითა და სხვა.

ამასთან, გასულ წელს უზბეკეთის მთავრობამ გამოაცხადა უახლოესი 4 წლისათვის 4,3 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ არალის ზღვის კატასტროფის შედეგების შემსუბუქების, ასევე არალის ზღვისპირა რეგიონის უზბეკეთის ნაწილის აღდგენისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ამასობაში, დღეს ზღვის ყაზახეთის ნაწილი აქტიურად ივსება. ამას ხელს უწყობს მთელი რიგი პროექტები, რომლებსაც ახორციელებს ყაზახეთი, მათ შორის, მდინარე სირდარიის კალაპოტის გაწმენდის პროექტი. ექსპერტთა პროგნოზებით, თუ შენარჩუნდა არალის წყლით შევსების თუნდაც არსებული მოცულობები, შესაძლებელია, რომ არალის ზღვის ჩრდილო ნაწილი სრულად აღდგეს უკვე უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში. ზღვის შევსებასთან ერთად ყაზახეთი სირდარიის ქვემოწელში აწარმოებს ტბების სისტემების აღსადგენ სამუშაოებს. ეს ასევე ხელს შეუწყობს ზღვაში წყაროს (გრუნტის) წყლების ჩადინებას.

თუმცა, ზღვის ჩრდილო ნაწილის სრული რეანიმაციისათვის საჭიროა არამარტო წყლის ჩადინება, არამედ კოკარალის კაშხლის გაფართოება. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გაიზარდოს ჩრდილო არალის ზღვის აკუმულირებადი ტევადობა და თავიდან იქნეს აცილებული წყლის მოცულობების დანაკარგის ზრდა ჩადინებების გამო ზღვის სამხრეთ ნაწილში, რომლის აღდგენაზე, როგორც უკვე ითქვა, ტაშკენტი, აშხაბადი და დუშანბე ძალისხმევის მიმართვას არ აპირებენ.

არალის ზღვის ჩრდილო ნაწილის – მცირე არალის – აღდგენის გეგმის განსახორციელებლად ყაზახეთს ესაჭიროება მსოფლიო საფინანსო დონორების, პირველ რიგში მსოფლიო ბანკის, დახმარება კაშხლის დასაშენებლად.

მცირე არალის ეკოსისტემის რეანიმაცია ყაზახეთისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ძალისხმევით არამარტო მინიმუმამდე დაიყვანს ეკოლოგიური კატასტროფის შედეგებს, არამედ მომავალში შესაძლებელს გახდის დაგროვილი რესურსებისა და გამოცდილების გამოყენებას მთელი რეგიონის წყლის სისტემის აღსადგენად, თუ, რა თქმა უნდა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები თავის წვლილს შეიტანენ არალის შენარჩუნებაში.

**ზაზა მეზვრიშვილი**

# რუსუდან ჯაში: „საჭიროა სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების პროგრამის დაწყება“

**ჯანდაცვის სფეროში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, პირველად ჯანდაცვაში მთელი რიგი ხარვეზები არსებობს, რომელთა აღმოფხვრაც ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი გამოწვევაა.**

ფონდ „კურაციოს“ კვლევაში „ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი – მე-6 ტალღა“ აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ გამოწვევად სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების პრობლემა იქნა დასახელებული.

საინტერესოა, რა არის ჯანდაცვის სექტორში ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და როგორ არის შესაძლებელი მათი მოგვარება. აღნიშნულთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს კლინიკური ფარმაკოლოგიისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის ხელშეწყობის კავშირის ხელმძღვანელ რუსუდან ჯაშთან:

– სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და თავად ექიმებიც თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ექიმს არ უნდა ჰქონდეს მოტივაცია ან ინტერესი, გამოუწეროს პაციენტს ზედმეტი ან არასათანადო მედიკამენტი. საქართველოში არსებობენ კომპანიები, რომლებიც ფლობენ ფარმაცევტულ კომპანიებსაც და კლინიკებსაც. ამ კლინიკების ექიმები ხშირად სწორედ იმავე კომპანიის ფარმაკოლოგიურ ნაწარმს უნიშნავენ ხოლმე სამკურნალოდ. ამ შემთხვევაში რამდენად იზრდება პოლიპრაგმაზიის რისკი?

– ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოში არ არის. მსგავსი შემთხვევების მომსწრე არაერთი ქვეყანაა. როდესაც ვსაუბრობთ კლინიკური მართვის პროტოკოლებზე, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ჩვენთან არ იწერება. ჩვენი ასოციაციები ძირითადად ევროპიდან იღებენ მაგალითს, რომელთა მორგებაც ხდება ქართულ რეალობაზე. ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს კლინიკა, ექიმისთვის სახელმძღვანელო არის კლინიკური მართვის პროტოკოლი. როდესაც ეს იქნება დანერგილი, შემცირდება პოლიპრაგმაზიაც. არც ერთი მეპატრონე ან მენეჯერი არ ეტყვის ექიმს, რომ გამოუწეროს პაციენტს წამალი, რომელიც არ შეესაბამება პროტოკოლს.

ჩვენ უნდა დავეხმაროთ ექიმებს, რომ მივაწოდოთ მეტი ლიტერატურა და ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში.

***– როგორც ცნობილია, ჯანდაცვის სამინისტრო აპირებს რეფორმის გატარებას პირველად ჯანდაცვაში. თანამშრომლობთ თუ არა უწყებასთან და ხომ არ აპირებთ რაიმე რეკომენდაცია გასცეთ პოლიპრაგმაზიის პრობლემის აღმოსაფხვრელად?***

– კვლევები აჩვენებს, რომ სწორედ პირველადი ჯანდაცვის რგოლში არის მთელი რიგი პრობლემები. პოლიპრაგმაზია გვხვდება ჰოსპიტალურ სექტორშიც, მაგრამ იქ პროტოკოლები და გაიდლაინები მეტ-ნაკლებად აწესრიგებს ამას. სწორედ აქ არის კლინიკური ფარმაკოლოგიის როლი უმნიშვნელოვანესი. სამწუხაროდ, მედინსტიტუტში არ ისწავლება კლინიკური ფარმაკოლოგია. არ არსებობს დახელოვნების ინსტიტუტი, სადაც აქცენტი იქნება კლინიკურ ფარმაკოლოგიაზე.

კლინიკურ ფარმაკოლოგიას პირადად ვასწავლიდი მედინსტიტუტში 1987 წლიდან. შემდეგ თანდათან შემცირდა სასწავლო საათები და ბოლოს სულ გაუქმდა. არ ვიცი ეს ვის ინტერესს ემსახურებოდა. აქედან გამომდინარე, პრობლემა არის სისტემური ხასიათის და ვფიქრობ, რომ გამოსავალი სათანადო განათლების მიღებაშია. უფრო ადვილია ვასწავლოთ სტუდენტს, ვიდრე ექიმი გადავაჩვიოთ თავის ჩვევებს.

***– როგორია ამ მხრივ საერთაშორისო პრაქტიკა?***

– მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში კლინიკებს არ აძლევენ ლიცენზიას, სადაც არ არსებობს კლინიკური ფარმაკოლოგი. როგორც წესი, პაციენტს რამდენიმე დაავადება ერთდროულად აღენიშნება ხოლმე.

შეიძლება პაციენტს ჰქონდეს დიაბეტი, გულ–სისხლძარღვთა დაავადებები და ა.შ. გამოდის, რომ პროტოკოლის მიხედვით თითო დაავადებაზე რამდენიმე წამალი ენიშნება, რაც ჯამში ხშირად 10 და მეტ მედიკამენტს აჭარბებს. სწორედ ამ შემთხვევაში სჭირდება დაწესებულებას კლინიკური ფარმაკოლოგი, რომელიც გააკონტროლებს ამ პროცესს.

***– თქვენი ინფორმაციით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში?***

– ამჟამად ვმუშაობ ბათუმში, ვარ აჭარის მთავარი პედიატრი და, აქედან გამომდინარე, მაღალმთიან რაიონებში მიწევს ხოლმე ჩასვლა. ვერ ვიტყვი, რომ ქალაქის ექიმები გაცილებით მეტად ინფორმირებულები არიან. როდესაც ფარმაცევტულ კომპანიებს სურთ წამლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ხშირად სამარშრუტო ტაქსებით ჩამოჰყავთ ხოლმე ექიმები, ოღონდაც დააფიქსირონ თავისი წამლის შესახებ ინფორმაცია. პრაქტიკულად მთელ საქართველოს მოიცავენ ხოლმე, რადგან ეს კომპანიების ინტერესებში შედის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ სახით მიწოდებული ინფორმაცია არის საკმარისი.

***– ბოლო დროს საკმაოდ ხშირად გვესმის, რომ ექიმებს აქვთ გარკვეული მოტივაცია, დანიშნონ კონკრეტული მედიკამენტი. ამის ერთ-ერთი მიზეზად შეიძლება ექიმების დაბალი ანაზღაურება მოვიაზროთ?***



– როდესაც ვმუშაობდი პედიატრიის ინსტიტუტში, რამდენიმე წლის მანძილზე ხელფასი გაყინული იყო, გამოვიარეთ კუპონის პერიოდიც. მიუხედავად ამისა, არასდროს გვიფიქრია ექიმებს, რომ დაგვენიშნა წამალი, საიდანაც რაიმე მოგებას მივიღებდით. ეს ეთიკის საკითხია და ადამიანის მენტალიტეტიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა.

***– თქვენი აზრით, არსებული პრობლემიდან ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი რა შეიძლება იყო? რა უნდა გააკეთოს ჯანდაცვის სამინისტრომ, რომ პრობლემის შემთხვევაში ყველამ თითი ექიმების მისამართით არ გაიშვიროს?***

– საჭიროა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის შემუშავება. სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებამ ახლახან დააყენა საკითხი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამის წამოწყების შესახებ. კლინიკური ფარმაკოლოგიის კავშირი მზად არის ჩაერთოს მასში, რათა ავამაღლოთ ცოდნა კლინიკური ფარმაკოლოგიის დარგში. ჩვენი ვარაუდით, მაისის დასაწყისში, დეტალები პროგრამისა და მასში მონაწილე მხარეების შესახებ ცნობილი იქნება.

# დევიდ კრამერი: „რუსეთმა ჯავრი შეიძლება საქართველოზე იყაროს“



ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ აქვეყნებს ინტერვიუს მაკკეინის ინსტიტუტის დირექტორ დევიდ კრამერთან, სადაც ექსპერტი საქართველოს შესახებ საუბრობს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს რეზიუმეს:

ივლისში ნატოს ვარშავის სამიტმა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნებმა შესაძლოა რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაცია გამოიწვიოს, – ასე აცხადებს „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში დევიდ კრამერი.

მისი აზრით, 2008 წლის ომი სწორედ ბუქარესტის ნატოს სამიტს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტის კომუნიკეში ალიანსმა განაცხადა, რომ საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, იმ დროს ნატოს წევრებმა საქართველოს სამოქმედო გეგმა არ შესთავაზეს. ამ განცხადებიდან რამდენიმე თვეში კი რუსეთი საქართველოში შეიჭრა.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ვარშავის სამიტთან ერთად, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც გასათვალისწინებელი ფაქტორია, რადგან რუსეთმა შიდა-პოლიტიკური მდგომარეობა შეიძლება საკუთარი ინტერესების დასაწინაურებლად გამოიყენოს: „ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი „ქართულ ოცნებას“ ან „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს მხარს. შეიძლება მოსკოვს საკუთარი ფავორიტი ჰყავს და თუ კრემლმა ის დაინახა, რომ ამ ძალას საკმარისი პროგრესი არ აქვს, რუსეთი შეიძლება ღიად ან ფარულად ჩაერთოს პროცესებში. ასევე არის მესამე შესაძლებლობა, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა ძალამ – მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ – რუსეთის ინტერვენციის პროვოცირება მოახდინოს“.

ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ კონფლიქტების პრევენციის მემორანდუმში დევიდ კრამერი ასევე აცხადებს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის გაძლიერება რუსეთის ეკონომიკის სიჯანსაღეზეცაა დამოკიდებული. ყირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისა და ნავთობზე რეკორდულად დაბალი ფასების გამო, რუსეთის ეკონომიკას დიდი ზარალი მიადგა. ეკონომიკური ფონის დამძიმებამ შესაძლოა ქვეყანაში კრემლის მიმართ უკმაყოფილება გაზარდოს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მოსახლეობის ყურადღების გადატანას გარე, პატრიოტულ ფაქტორზე ეცდება. საქართველო ამისთვის ერთ-ერთი საუკეთესო სამიზნე იქნება.

დევიდ კრამერი საქართველოს უსაფრთხოებას ისეთ საერთაშორისო ფაქტორებსაც უკავშირებს, როგორიცაა რუსეთის სამხედრო ოპერაცია სირიაში და კრემლის აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში. „უკრაინაში რუსეთს გარკვეული გამოუვალი სიტუაცია შეექმნა. პრეზიდენტმა პუტინმა არ იცოდა როგორ გამოსულიყო ამ სიტუაციიდან. ჩემი აზრით, მან სირიაში ჯარი სწორედ უკრაინის ფაქტორის გათვალისწინებით შეიყვანა“, – ამბობს დევიდ კრამერი. მისი აზრით, იგივე სცენარი შეიძლება კვლავ განმეორდეს თუ უკრაინაში ან სირიაში მდგომარეობა დამძიმდა. „ვლადიმირ პუტინმა შეიძლება სცადოს ჯავრი საქართველოზე იყაროს და ამით სხვა მძიმე სიტუაციებზე რუსი ხალხის ყურადღება მოადუნოს“, – მიაჩნია ექსპერტს.

თუმცა ვითარების ინტერპრეტაცია სხვა არგუმენტსაც აჩენს. რუსეთის ფედერაცია უკრაინაში მიღებული შედეგით კმაყოფილია. ამასთან, სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის მიერ რუსეთის სამხედრო დახმარებით დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოზე“ მიტანილი წარმატებული იერიშების შედეგად პუტინი დღეს თავს გამარჯვებულად მიიჩნევს. ამასთან, რუსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ვლადიმირ პუტინმა რუსეთი იმ სახელმწიფოდ აქცია, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. „ამ სიმხნევით წაქეზებულმა რუსეთმა შეიძლება იფიქროს, რომ სწორედ ახლაა დრო სხვა მიზნებსაც მიაღწიოს და საქართველოს ნატოსთან დაახლოება კიდევ ერთხელ შეაჩეროს“, – ამბობს დევიდ კრამერი.

კონფლიქტების პრევენციის მემორანდუმში რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის გაძლიერების მხოლოდ შესაძლებლობებია განხილული და ისინი რაიმე სახის პროგნოზს არ აკეთებენ. კრამერი ამბობს, რომ მისი ნაშრომის დანიშნულება დასავლეთში პოლიტიკის შემმუშავებლებს მომდევნო თვეების განმავლობაში საქართველოსთვის მეტი ყურადღების დათმობისკენ უბიძგოს, განსაკუთრებით ვარშავის სამიტის მოლოდინში.

რუსეთი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას საკუთარი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად აღიქვამს და ეს საფრთხე სამხედრო დოქტრინაშიც კი აქვს შეტანილი. შესაბამისად, მოსკოვის მიზანი საქართველოს ნატოში გაწევრიანების ყველა მეთოდით ხელშეშლაა. დევიდ კრამერი ამბობს, რომ „პუტინი რუსეთის ნებისმიერი მეზობლის ევროპასთან დაახლოებას სამეზობლოს პუტინისეული მოდელის წინააღმდეგ მიმართულ გამოწვევად აღიქვამს“ და ყველაფერს გააკეთებს ამ პროცესისთვის ხელის შესაშლელად.

საქართველოს დასავლეთთან დაახლოება და საბოლოო ჯამში, ევროსტრუქტურებში გაწევრიანება, თბილისთან ერთად დასავლეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. კრამერი ამბობს, რომ საქართველოს დიდი პროგრესი აქვს, რეგიონში სამაგალითო ქვეყანაა და გამორჩეულად პრო-დასავლურია. დასავლეთმა ეს უნდა დაინახოს და დააფასოს.

– საქართველომ ყველას დაანახა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია. ახლა ჩვენი ჯერია, საქართველოს სამაგიერო გადავუხადოთ, – ამბობს კრამერი.

საქართველოს დასავლეთში ბევრი მეგობარი ჰყავს, რომლებსაც ქვეყნის წარმატება სურთ. კრამერი ამბობს, რომ ნატოს ვარშავის სამიტისა და საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რუსეთიდან მომავალი საფრთხეები იზრდება. გავლენიანი ექსპერტი ამერიკაში პოლიტიკის შემმუშავებლებს საქართველოს უსაფრთხოებისთვის მეტი ყურადღების დათმობისკენ მოუწოდებს.

**ნიუსპრესი**

# პირველკლასელთა რეგისტრაცია 4 აპრილიდან დაიწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2016-2017 სასწავლო წლისათვის პირველკლასელთა რეგისტრაცია გამოაცხადა.

სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრაცია 3 ეტაპად განხორციელდება:

**I ეტაპი: 2016 წელი, 4 აპრილი – 18 აპრილი**

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში.

**რეგისტრირდებიან ის მოსწავლეები:**

- რომლის და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;
- რომლის მშობელიც სკოლის თანამშრომელია;
- რომლის ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

I ეტაპზე დარეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება სკოლაში, 19 აპრილი – 28 აპრილის ჩათვლით.



**II ეტაპი: საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია**

2016 წელი, 4 მაისი – 25 მაისის ჩათვლით

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში II ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 30 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით.

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

**III ეტაპი: 2016 წელი, 14 ივნისი – 30 ივნისის ჩათვლით**

რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში, II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 სასწავლო წელს, ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი. 2016-2017 სასწავლო წელი დაიწყება 15 სექტემბერს.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# დაღესტანში პოლიციელებით სავსე ორი ავტომანქანა ააფეთქეს




მახაჩყალის მისადგომთან პოლიციელებით სავსე ორი ავტომანქანა ააფეთქეს.

მანქანებში კრასნოიარსკელი პოლიციელები ისხდნენ, რომლებიც დაღესტანში სპეცმივლინებით იმყოფებოდნენ.

დაღუპულია ორი პოლიციელი. რამდენიმე მძიმედაა დაშავებული.

# ტრამპის საარჩევნო შტაბის უფროსმა ქალს სცემა




ტრამპის საარჩევნო შტაბის უფროსმა კორი ლევანდოვსკიმ ჟურნალისტი ქალი მიშელ ფილდსი გალახა.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ფილდსმა მას რამდენიმე უსიამოვნო შეკითხვა დაუსვა. ლევანდოვსკიმაც წონასწორობა დაკარგა, ფილდსს ეძგერა და ხელი გადაუგრიხა.

ჟურნალისტმა პოლიციაში იჩივლა, დამამტკიცებელ საბუთად კი გალურჯებული ხელი წარმოადგინა.

შედეგად ტრამპის გარშემო მორიგი სკანდალი აზვირთდა. პოლიციამ ლევანდოვსკი დააკავა, თავად ტრამპმა კი განაცხადა, რომ ჟურნალისტმა კონფლიქტის პროვოცირება განზრახ მოახდინა.

– ფილდსი გამომწვევად იქცეოდა! კონფლიქტიც მისი პროვოცირებულია! – თქვა ტრამპმა.

# აშშ–თურქეთი: კონფლიქტი მოკავშირეებს შორის



აშშ-თურქეთს შორის ურთიერთობები დაიძაბა. პრეზიდენტი ობამა არ მალავს, რომ ერდოღანით იმედგაცრუებულია. ობამა ერდოღანს აღიქვამდა, როგორც ზომიერ ისლამისტს, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ხიდად გადაიქცეოდა. ამან არ გაამართლა, თუმცა ობამა თავის შეფასებებში თავშეკავებულია.

სამაგიეროდ, თურქეთის პრეზიდენტი აშკარად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ობამასადმი. ეს ხდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აშშ-მ სირიაში ქურთების მხარდაჭერა დაიწყო.

აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე გავლენას ახდენს რუსეთის ფაქტორი. ვლადიმერ პუტინმა სირიაში მხარი ასადს დაუჭირა, სირიაში პრორუსული რეჟიმის დამყარება კი კატასტროფაა როგორც ვაშინგტონის, ისე ანკარისთვის.

რუსეთის ფაქტორი აიძულებს როგორც თურქეთს, ისე აშშ-ს, დაძლიონ უთანხმოება და ურთიერთშეხების წერტილები მოძებნონ.

ამასობაში აშშ-ს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაიყვანოს თურქეთიდან სამხედროებისა და დიპლომატების ოჯახების წევრები.

მიზეზი ტერაქტების საფრთხეა.

5.000 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები სამხედრო ბაზების მახლობლად ცხოვრობენ. ამერიკელები სწორედ ამ ბაზებიდან ახორციელებენ დარტყმებს ექსტრემისტებზე სირიაში, განსაკუთრებით კი ისლამურ სახელმწიფოზე.

ტერორისტების საპასუხო დარტყმების საფრთხე რეალურია. ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხედროებისა და დიპლომატების ოჯახების გაყვანის თაობაზე.

# ბრაზილიაში პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვენ



ბრაზილიის პარლამენტში პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტს მოითხოვენ

მმართველი კოალიცია დატოვა ყველაზე მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციამ – დემოკრატიულმა მოძრაობამ. ამის შემდეგ რუსეფის იმპიჩმენტის ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ბრაზილიის პარლამენტის ქვედა პალატამ რუსეფის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო. ის ფაქტი, რომ დემოკრატიული მოძრაობა მმართველი კოალიციიდან გავიდა, ამას უდავოდ ხელს შეუწყობს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# განცხადებები

## იყიდება

- იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

- ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**ცნობილი სექსოლოგი გიორგი გოგბაიძე სრულად განკურნავს პროსტატიტსა და სექსუალურ სისუსტეს. ტელ: 599-25-50-50.**

# კანადელმა მოხუცმა აზიდვებში რეკორდი დაამყარა

ხანდაზმულმა კანადელმა ალან ვაზელენჩუკმა არაოფიციალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა აზიდვებში. 65 წლის ედმონტონელი იატაკიდან 91-ჯერ აიზიდა.

– ძლიერ სტრესს განვიცდიდი. არ მინდოდა მთელი ხალხის წინაშე შევრცხვენილიყავი. ვერ წარმომედგინა, თუ ჩემ ასაკში ასე ვინერვიულებდი, – განაცხადა ვაზელენჩუკმა.

კანადელი ავტობუსის ყოფილი მძღოლია, რომელიც ამჟამად პენსიაზე იმყოფება. მან ვარჯიში 2015 წლის ნოემბერში დაიწყო. როგორც თავად აღიარა, ის გრძნობდა, რომ ზედმეტი წონა ჰქონდა და ფორმაც დაკარგა.



ვაზელენჩუკი თავისი სარეკორდო მცდელობის ვიდეოჩანაწერს და დამსწრეთა ხელმოწერილ საბუთებს გინესის რეკორდების წიგნს გადასცემს და ექვსი-რვა თვის შემდეგ გახდება ცნობილი, აღიარებენ თუ არა მის მიღწევას.

# ბრიტანული ბარები ჩვეულებრივზე დიდხანს იმუშავებენ



ბრიტანულ პაბებსა და ბარებს ჩვეულებრივზე დიდხანს მუშაობის უფლება მიეცათ. ეს უფლება მათ დედოფალ ელისაბედ II-ს იუბილესთან დაკავშირებით მიიღეს. ამის თაობაზე განცხადება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა გააკეთა.

მისი უდიდებულესობის 90 წლის იუბილე 10 და 11 ივნისს აღინიშნება. ქვეყანაში კი მთელი რიგი საზეიმო ღონისძიებებია დაგეგმილი.

ადგილობრივი პრესის ცნობით, პაბების მუშაობის დროის გახანგრძლივება, განსაკუთრებით ფეხბურთის ფანებს გაახარებთ, ვინაიდან 11 ივნისს ევრო-2016-ის მატჩში ინგლისის ნაკრები რუსებს დაუპირისპირდება.

ხოლო რაც შეეხება თავად დედოფალს, ელისაბედ II მილოცვებს მიიღებს როგორც 21 აპრილს, როდესაც ის დაიბადა, ასევე ივნისში, რომელიც მონარქის ოფიციალურ დაბადების დღედ ითვლება.

# ამანათში ჩამწყვდეული კატა გადარჩა



ბრიტანეთის აღმოსავლეთ სუსექსის საგრაფოში სიამის ჯიშის კატა, სახელად ქაპქეიკი, შეცდომით საფოსტო ამანათით გააგზავნეს. ცხოველმა რვადღიანი მოგზაურობა გადაიტანა, რომლის დროსაც 420 კილომეტრი გაიარა.

ამანათი მიიღო პიროვნებამ, რომელსაც დვდ-ს ნაკრები ჰქონდა შეკვეთილი. როდესაც მან ამანათი გახსნა, მასში დვდ-ი დისკებთან ერთად კატა აღმოაჩინა. მამაკაცმა ცხოველი ცხოველთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლებს გადასცა, მათ კი კატა ვეტერინარულ კლინიკაში მიიყვანეს გამოსაკვლევად.

ცხოველის გასინჯვის შემდეგ ექიმებმა დაადგინეს, რომ კატა ტრანსპორტირების დროს არ დაშავებულა, თუმცა ძლიერ გამოფიტული იყო. მათ მიკროჩიპის დახმარებით გამოარკვიეს ცხოველის პატრონის ვინაობა და მათ დაუკავშირდნენ.

კატის პატრონმა ჯულია ბეგოტმა განაცხადა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ის და მისი ოჯახის წევრები საყვარელ ცხოველს აქტიურად ეძებდნენ. მისი თქმით, ის ამანათში დვდ-ი დისკებს ალაგებდა და ვერ შენიშნა, როგორ აღმოჩნდა მასში კატა.

სერტიფიცირებული კოსმეტოლოგი მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ბრიტანელმა წყვილმა ყინულებში იქორწინა



ბრიტანულმა წყვილმა მსოფლიოში პირველმა ჯვარი ისლანდიაში უზარმაზარ მყინვარში დაიწერა. ჯვარი 41 წლის ენტონი ლიმ და 36 წლის მერი ჯონს-ლიმ დაიწერეს.

საზეიმო ცერემონია 40 მეტრის სიღრმეში –2 გრადუს ტემპერატურაზე გაიმართა, რომელსაც სიძე-პატარძალის 19 სტუმარი ესწრებოდა.

ჯვრისწერის ადგილად ლაუნგეიკიუდლის მყინვარი იქნა არჩეული, რომლის შიგნით სპეციალური სამრეკლოა აგებული.

ქორწილის საერთო ღირებულებამ 9 ათასი ფუნტი შეადგინა (გადაფრენის გათვალისწინებით). სამრეკლოს დაქირავება 2,2 ათასი ფუნტი დაჯდა.

ლაუნგეიკიუდლის მყინვარი ევროპაში სიდიდით მეორეა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ვლადიმირ ვაისის ბუნდოვანი აისი

**საქართველო-ყაზახეთი 1:1**

**თბილისი.** დინამო არენა
0:1 ნურგალიევი (36), 1:1 ოქრიაშვილი (38)

**საქართველო:** რევიშვილი, ლობჟანიძე (ვაწაძე 89), კაშია, ამისულაშვილი (კვერკველია 46), ნავალოვსკი, კანკავა, აბურჯანია (კვეკვესკირი 78), ოქრიაშვილი, ჭანტურია (კაჭარავა 46), ანანიძე (ყენია 78), ყაზაიშვილი

**ყაზახეთი:** ლორია (პლოტნიკოვი 46), ბაისებეკოვი, ლოგვინენკო, შჩიოტკინი (ხიჟნიჩენკო 46), ნურგალიევი (ისლამხანი 80), მალი, შომკო, კუატი (ტაგიბერგენი 82), სმაკოვი (ბაიჟანოვი 74), მუჟიკოვი (კონისბაები 64), სუიუმბაევი

ვერ გამოდგა ვლადიმირ ვაისის სადებიუტო მატჩი მომგებიანი. არადა, ამის შანსი იყო. უპირატესობაც გვქონდა, მაგრამ ფრეს დავჯერდით. საინტერესო სხვა კუთხით იყო. გიორგი აბურჯანია ჯერ ვერ ჩაჯდა ნაკრების სქემაში, ნერვიულობა ეტყობოდა კიდევ ერთ დებიუტანტ ნიკა კაჭარავას, და ეს ნერვიულობა მაშინ შეეტყო, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვერ გაიტანა. შეცვლებიც ცოტა დაგვიანებული გამოუვიდა ვაისს. გაცილებით ადრე შეიძლებოდა აბურჯანიასა და ჯანო ანანიძის მოხსნა. მართალია, მომენტები ბლომად არ გვქონია, მაგრამ იყო ისეთები, რომელიც უნდა გამოგვეყენებინა. ალბათ პენალტიც გვეკუთვნოდა, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა.

ტაქტიკა ვაისისთვის საყვარელი იყო – 4-2-3-1, მაგრამ რამდენჯერმე მოუხდა გადაწყობა.

ლობჟანიძე-კაშია-ამისულაშვილი-ნავალოვსკის დაცვითი ოთხეულის წინ კანკავა-აბურჯანია იდგნენ, ნახევარდაცვის მარჯვნივ ჭანტურია, ცენტრში ანანიძე, ხოლო მარცხნივ ოქრიაშვილი იდგნენ; ცენტრფორვარდის პოზიციაზე ყაზაიშვილი ირჯებოდა, ვისთვისაც ეს პოზიცია ახალია.

სწორედ ყაზაიშვილს ჰქონდა პირველი მომენტი, მაგრამ დავით ლორიამ აუღო. შემდეგ შეგვეძლო კონტრშეტევაზე გაგვეტანა, მაგრამ 1 ყაზახი მცველის წინააღმდეგ მყოფმა 4-მა შემტევმა ეს შანსი ვერ გამოიყენა.

სამაგიეროდ, ყაზახებმა ივარგეს კონტრშეტევაზე. რამდენიმე ფეხბურთელი სწრაფად გადავიდა ჩვენს ნახევარზე, ვერც ნავალოვსკიმ მოასწრო დაზღვევა და ვერც სხვა მცველებმა ივარგეს დაზღვევაზე. მუჟიკოვი მარჯვნიდან შევიდა ჩვენს საჯარიმოში, რომლის ცენტრში უმეთვალყურეოდ მიტოვებული ნურგალიევი მოძებნა და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა რევიშვილის კარში.

2 წუთში გავათანაბრეთ: ყაზაიშვილმა მეტოქის ნახევარზე იბრძოლა, ბურთი მოიპოვა, შეტევა კანკავამ და ლობჟანიძემ გააგრძელეს, რომელსაც პასი თითქოს არ გამოუვიდა, მაგრამ საჯარიმოს ხაზთან მყოფ ოქრიაშვილს მიუვიდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა ლორიას კარის მარცხენა კუთხეში.

შესვენების შემდეგ ვაისს ტაქტიკისთვის არ გადაუხვევია, მაგრამ გიორგი ჭანტურიას ნაცვლად ნიკა კაჭარავა შეიყვანა და მარჯვენა შემტევად ყაზაიშვილი გადასწია. ჯანო ანანიძე მარცხენა შემტევად მოგვევლინა, ხოლო თორნიკე ოქრიაშვილი ცენტრში, თავდამსხმელის უკან. ოღონდ, შემტევი ოთხეული ადგილებს ცვლიდა.

ჩვენები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ უფანტაზიოდ უტევდნენ და გაგრძელებას ვერ პოულობდნენ, შეტევას სწრაფად ვერ ავითარებდნენ.

მეორე ტაიმში კვერკველიას მიერ აცილებულ თავურს თუ არ ჩავთვლით, მხოლოდ ერთი რეალური შანსი შეიქმნა: შეცვლაზე შესულმა ყენიამ პირველივე შეხებით მწვავე პასი გაუკეთა კაჭარავას, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარეს მოარტყა ბურთი. კაჭარავა ერთ მომენტში სამ მცველთან ჭიდილში წაიქცა და პენალტს ითხოვდა, თითქოს იყო კიდეც...




**ვლადიმირ ვაისი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– მწვრთნელისთვის პირველი თამაში ყოველთვის რთულია და ეს ყაზახეთთან დამტკიცდა. შედეგით კი ძალიან უკმაყოფილო ვარ. რაც შეეხება ფეხბურთელებს, ზოგიერთით კმაყოფილი ვარ, ნაწილმა კი იმედები ვერ გაამართლეს. ყაზახეთის ნაკრებმა მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეთი დონის გუნდებს უნდა მოვუგოთ.

***– ყაზაიშვილი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე იდგა. ეს რით უნდა ავხსნათ?***

– ვარჯიშისას ლევან მჭედლიძემ ტრავმა მიიღო. ამიტომ მომიწია ყაზაიშვილის იმ პოზიციაზე დაყენება, სადაც ის არაა მიჩვეული თამაშს და მომავალში მის ცენტრფორვარდად გამოყენებას არ ვგეგმავ.

***– ცვლილებები დაგვიანებული ხომ არ იყო?***

– მინდოდა ბევრი ეთამაშათ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც თავიანთ გუნდებში ბევრს ვერ თამაშობენ. აღვნიშნავ გიორგი ნავალოვსკის, ჯაბა კანკავას კარგ თამაშს. ოქრიაშვილი კი, ჩემი აზრით, მოედანზე საუკეთესო იყო.

აბურჯანიამ პირველად ითამაშა ეროვნულ ნაკრებში და მასში პოტენციალს ვხედავ, მომავალში მასზე დიდ იმედს ვამყარებ. ამისულაშვილის შეცვლა კი იმით იყო გამოწვეული, რომ გვინდოდა მას და კვერკველიას თითო ტაიმი ეთამაშათ.

კმაყოფილი ვარ ნიკა კაჭარავას თამაშითაც, რომელიც საკმაოდ აქტიურად ჩაერთო თამაშში, მიუხედავად იმისა, რომ დებიუტი ჰქონდა. რაც შეეხება რევიშვილს, მისი დაყენება იმიტომ გადავწყვიტე, რომ კლუბში სათამაშო პრაქტიკა არ აქვს და მინდა თავდაჯერებული იყოს. ლორიას იმედი კი გვაქვს.

***– შემადგენლობაში ბევრი იყო უთამაშებელი ფეხბურთელი. მათ შორის ჯანო ანანიძეც და ეს ეტყობოდა კიდეც.***

– ანანიძეზე არ ვფიქრობ, რომ განსაკუთრებულად ცუდად ითამაშა. მას დიდი ნიჭი გააჩნია, უბრალოდ, მზად არაა ამ ეტაპზე 90 წუთი ითამაშოს. კლუბშიც მცირე სათამაშო დრო აქვს. როდესაც იგი 100%-ით იქნება მზად, ნაკრების შეტევა მის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

მაქსიმალურად შევეცადე, რომ ყველა ფეხბურთელისთვის, რომელთაც სანაკრებო დონეზე თამაშის პრეტენზია აქვთ, მეთამაშებინა. ჭანტურიასგან გაცილებით მეტს ველი და საბოლოო ჯამში დავინახე, ვინ იხარჯება და ვინ არა ნაკრებისთვის ბოლომდე. ამ ერთი თამაშის ფონზე თვალები ამეხილა.

***– წინ ავსტრიული შეკრება გაქვთ და რამდენიმე ამხანაგური მატჩი.***

– წელს ძალიან ცოტა თამაშის ჩატარება გვიწევს და ამიტომაც დაგეგმილი 3 ამხანაგური მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. უნდა ვიმუშაოთ მინუსებზე და ბურთის დაკარგვის მერე უკან დროულად დახევასა და კონტრშეტევით თამაშზე.

***– იქნებიან თუ არა ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები?***

– ავსტრიულ შეკრებამდე კიდევ ორი თვეა დარჩენილი და დრო გვაქვს. კონსულტაციებს გავივლი აქაურ მწვრთნელებთან, რადგან ახლა მათ შესაძლებლობებს კარგად არ ვიცნობ. შევისწავლით ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაშს, რომლებიც ახლა არ იყვნენ გამოძახებულნი. მათ შორის არიან გრიგალაშვილი და კაკაბაძე.

# ლაშა გობაძე ევროპის ჩემპიონია

ბულგარეთის ქალაქ რუსეში დაწყებულ ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვა. პირველები შეჯიბრებაში ბერძნულ-რომაული სტილის 59, 71, 80 და 98 კატეგორიის ფალავნები ჩაერთვნენ და ოთხივე წონაში ქართველმა ფალავნებმა მედლებისათვის იჭიდავეს.

ლაშა გობაძემ (80) წარმატებით დაიცვა შარშანდელი ევროპის ჩემპიონის ტიტული და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ოქროს მედალს. კუკური კირცხალია (98) ვერცხლის მედალს დასჯერდა, რამაზ ზოიძემ (70) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მოპოვების შანსი გაუშვა ხელიდან ხვიჩა ჭითავამ (59), რომელმაც საბოლოოდ ასპარეზობა მეხუთე ადგილზე დაასრულა.



გობაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე შვედი ბოგდან კოურინი 10:4, მეოთხედფინალში უკრაინელი იაროსლავ ფილჩაკოვი 8:1, ხოლო ნახევარფინალში გერმანელი იანეს ვაგნერი 3:2 დაამარცხა. ფინალში კი, თურქ ბუკჰან აკბუდაკს 8:2 მოუგო.

კირცხალიამ პირველ შეხვედრაში 1:55 წუთში სუფთა გამარჯვება მოიპოვა პოლონელ ალექსანდრ კროცზაკთან, მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ ორხან ნურიევს 3:1 მოუგო, ნახევარფინალში კი რუსი მუსა ევლოევი დაძაბულ შეხვედრაში 4:4-ზე დაამარცხა. ფინალში ჩვენებურმა გერმანელ მუჰამედ სევერთან შეხვედრა 0:6 დათმო.

ზოიძემ ქულების აშკარა უპირატესობით 4:26 წუთში 9:0 დაამარცხა ფრანგი მოჰამედ ზაროური, მეოთხედფინალში უკრაინელ ალექსეი კალინიჩენკოს 7:1 სძლია, ნახევარფინალში კი თურქ იუნუს ემრე ბასართან 1:9 დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოსთვის მედლისთვის შეხვედრაში ზოიძე ბელარუს რუსლან აჰამალიეუს დაეჭიდა და 3:17 წუთში იოლად გაუსწორდა 10:2.

ჭითავა პირველ შეხვედრაში 1:10 დამარცხდა მომავალ ფინალისტ რუს სერგეი ემელინთან, სანუგეშო წრეში კი სერბი ტამას ნადი 10:2 დაამარცხა და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მიიღო. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველი ფალავანი შეხვედრის უკანასკნელ წამებამდე უგებდა გერმანელ ეტიენე კინსინგერს, თუმცა ბოლოსკენ 2 ქულა დაკარგა და დასანანი მარცხი განიცადა.

პირველი დღის შემდეგ, საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში 33 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება, მეორეზე აზერბაიჯანია 31 ქულით, მესამეზე – თურქეთი 28 ქულით.

# რეალი ბარსელონას და ნეიმარს გამაოგნებელ წინადადებას შესთავაზებს

მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი სრულ გადატრიალებას გეგმავს. ამაში ყველა დარწმუნებულია, ვინაიდან ზაფხულის შემდეგ სატრანსფერო ბანი ამოქმედდება.

ესპანურ მედიაზე დაყრდნობით, მადრიდის რეალმა თანხა უკვე გამოყო და ზაფხულში ნეიმართან დაკავშირებით ბარსელონას 190-მილიონიანი წინადადებით მიმართავს.

ასევე ცნობილია, რომ ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში, ნეიმარი განსაკუთრებული სახელფასო პირობებით ისარგებლებს. საუბარია წლიურ 21 მილიონ ევროზე. ხელშეკრულება კი 6 წლიანი იქნება.

შეთანხმების შემთხვევაში, ნეიმარის საგადასახადო დავალიანების 55% მადრიდის რეალის ბიუჯეტიდან იქნება დაფარული, რაც საკმაოდ დიდი თანხაა.




მადრიდელებს რობერტ ლევანდოვსკის გადაბირებაც სურთ, მაგრამ ფეხბურთელის აგენტმა განცხადება გააკეთა, რომელიც რეალს იმედს ვერ მისცემს:

– ვადასტურებ, ჩვენ განვიხილავთ ახალ კონტრაქტს ბაიერნთან. შემდგომი თანამშრომლობა, სავარაუდოდ, 4 წლიანი იქნება. ფინანსურ დეტალებზე ახლა საუბარი სისულელეა. მადრიდის რეალში გადასვლა? მე უკვე გითხარით, რა გეგმები გვაქვს.

# 19 წლამდე ნაკრებმა ელიტ რაუნდი წაგებით დაასრულა



საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტ-რაუნდში ასპარეზობა დაასრულა. მესამე ტურში ქართველები 1:2 დამარცხდნენ საბერძნეთთან. ტასოს დიმიტრიადისმა 42-ე წუთზე დააწინაურა საბერძნეთი. გიორგი ყიფიანის გუნდმა ანგარიშის გათანაბრება მე-60 წუთზე მოახერხა. ეს ბექა მიქელთაძემ შეძლო. თუმცა, 72-ე წუთზე იმავე დიმიტრიადისმა მეორე გოლიც გაიტანა და ბერძნებს მოაგებინა.

ელიტ-რაუნდის ჯგუფის მეორე მატჩში ინგლისმა 2:0 სძლია ტურნირის მასპინძელ ესპანეთს და ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა საბერძნეთთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოშაძე, ჩაჩუა, არდაზიშვილი (ბერიძე 59), ლოჩოშვილი, ჭიჭინაძე, ალთუნაშვილი, მიქელთაძე, ბიძინაშვილი, კომახიძე, სამურკასოვი (გოშთელიანი 43), კიკნაძე (არაბიძე 74)

# შედეგები

**29 მარტი**
**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მალაიზია-მაკაუ | 0:0 |
| ესტონეთი-სერბეთი | 0:1 |
| ჩერნოგორია-ბელარუსი | 0:0 |
| მაკედონია-ბულგარეთი | 0:2 |
| საქართველო-ყაზახეთი | 1:1 |
| საბერძნეთი-ისლანდია | 2:3 |
| გიბრალტარი-ლატვია | 0:5 |
| ნორვეგია-ფინეთი | 2:0 |
| ლუქსემბურგი-ალბანეთი | 0:2 |
| ავსტრია-თურქეთი | 1:2 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 1:1 |
| შვეიცარია-ბოსნია | 0:2 |
| გერმანია-იტალია | 4:1 |
| ირლანდია-სლოვაკეთი | 2:2 |
| პორტუგალია-ბელგია | 2:1 |
| ინგლისი-ჰოლანდია | 1:2 |
| საფრანგეთი-რუსეთი | 4:2 |
| შოტლანდია-დანია | 1:0 |

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-ეკვადორი | 3:1 |
| ურუგვაი-პერუ | 1:0 |
| არგენტინა-ბოლივია | 2:0 |
| ვენესუელა-ჩილე | 1:4 |
| პარაგვაი-ბრაზილია | 2:2 |

**ჯონჯაკაფი**

| | |
|---|---|
| ტრინიდადი-სენტ ვისენტი | 6:0 |
| აშშ-გვატემალა | 4:0 |
| ჰონდურასი-სალვადორი | 2:0 |
| პანამა-ჰაიტი | 1:0 |
| კოსტა რიკა-იამაიკა | 3:0 |
| მექსიკა-კანადა | 2:0 |

**აზია**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-იორდანია | 5:1 |
| ავღანეთი-სინგაპური | 2:1 |
| იაპონია-სირია | 5:0 |
| ლიბანი-მიანმარი | 1:1 |
| ფილიპინები-ჩრ.კორეა | 3:2 |
| ჩინეთი-ყატარი | 2:0 |
| ინდოეთი-თურქმენეთი | 1:2 |
| ტაჯიკეთი-ყირგიზეთი | 0:1 |
| უზბეკეთი-ბაჰრეინი | 1:0 |
| ერაყი-ვიეტნამი | 1:0 |
| ირანი-ომანი | 2:0 |
| საემიროები-ს.არაბეთი | 1:1 |
| მალდივი-ბუტანი | 4:2 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| მალავი-გვინეა | 1:2 |
| ლესოტო-სეიშელი | 2:1 |
| ეთიოპია-ალჟირი | 3:3 |
| ნიგერი-სენეგალი | 1:2 |
| ნამიბია-ბურუნდი | 1:3 |
| ტოგო-ტუნისი | 0:0 |
| ანგოლა-დრ.კონგო | 0:2 |
| ლიბერია-ჯიბუტი | 5:0 |
| უგანდა-ბურკინა ფასო | 0:0 |
| გამბია-მავრიტანია | 0:0 |
| ეგვიპტე-ნიგერია | 1:0 |
| ს.აფრიკა-კამერუნი | 0:0 |
| სუდანი-კოტ დივუარი | 1:1 |
| მაროკო-კაპო ვერდე | 2:0 |

| | |
|---|---|
| ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| სომეთი-დანია | 1:3 |
| რუმინეთი-უელსი | 2:2 |
| შოტლანდია-ჩრ.ირლანდია | 3:1 |
| ლუქსემბურგი-ბულგარეთი | 0:0 |
| სლოვაკეთი-თურქეთი | 5:0 |
| ავსტრია-ფარერები | 1:0 |
| მალტა-ჩეხეთი | 0:7 |
| ანდორა-იტალია | 0:1 |
| რუსეთი-გერმანია | 0:2 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# „რუსეთი საქართველოში საბჭოურ სცენარს იყენებს, ამერიკა კი გვერდზეა გამდგარი“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა „თჰე ჭასჰინგტონ თიმეს“, საქართველოსთან დაკავშირებით სტატიას აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

– როცა 2014 წელს უკრაინაში „მაიდნის რევოლუციამ“ იფეთქა, დასავლელ ლიდერებს თავიდანვე უნდა გამოეცნო, რომ რუსეთი კიევშიც იგივე სცენარით ისარგებლებდა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის კიდევ ერთ მოწყვლად ადგილში – საქართველოში გამოიყენა, – წერს ჟურნალისტი ტოდ ვუდი.

კრემლმა ხელი შეუწყო სეპარატიზმის გაჩაღება-განვითარებას სამხრეთ ოსეთში – საქართველოს სეპაციას და ამ მხრივ ფართოდ იყენებდა დაზვერვას.

თავის მხრივ, ნატოს არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველოს მხოლოდ მაშინ დართავს ნებას ალიანსის რიგებში გაწევრიანებისათვის, როცა ყველა წინასწარი პირობა იქნება შესრულებული... მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ მოლოდინში საქართველო ნელ-ნელა უკან მიდის – საბჭოური კორუფციისა და სტაგნაციისაკენ (ცხადია, მოსკოვის გარკვეული დახმარებით), რაც თბილისს ნატოში გაწევრიანებისათვის წინასწარი პირობების შესრულებაში ხელს უშლის. საქართველოს უარს არ აცხადებს რეფორმების გატარებაზე, მაგრამ მათი რეალიზება სულ უფრო ნელი ტემპით



რატისტულ რეგიონში და საქართველოს ჯარს 2008 წელს სხვა არჩევანი აღარ დაუტოვა გარდა იმისა, რომ არმიას თავისი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაეცვა. სწორედ იმ დროს რუსეთი საქართველოში შეიჭრა, დაიკავა ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორიები, დაანგრია ინფრასტრუქტურა და ქართული ჯარი ოთხ დღეში გაანადგურა, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავისი რეგულარული შეიარაღებული ძალების ყოფნა გააფართოვა.

– ეს იგივე მეთოდებია, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმში ვნახეთ – მუდმივი მცდელობა იმისათვის, რომ რუსეთმა ყოფილი საბჭოთა ტერიტორიები დაიბრუნოს. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ მოსკოვი სერიოზულ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას არ წააწყდება. როგორც კი კონფლიქტურ ზონებში ახალ ფსევდოსაზღვარს დაადგენს, კრემლი საქართველოს დანარჩენ რეგიონებში სიტუაციის არევას შეეცდება, რათა არ დაუშვას ქვეყნის ინტეგრირება ნატოსა და ევროკავშირში, – აღნიშნავს ავტორი.

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს კრემლი ცდილობდა საქართველოში თავისი მიზნები განეხორციელებინა, ცდილობდა, ხელი შეეშალა რეფორმების გატარებისათვის, მხარს უჭერდა ოპოზიხდება, რეფორმები „ბუქსაობს“... ქართველი რეფორმატორები დასავლეთს დახმარებას სთხოვენ, რათა ქვეყანა „ბნელ საბჭოთა წარსულს არ დაუბრუნდეს“. ფაქტია, რომ რუსეთი საქართველოს მდებარეობას სტრატეგიულად და მომგებიანად მიიჩნევს, შესაბამისად, თბილისი ფიქრობს, რომ მისი ჩრდილოელი მეზობელი თავისი მიზნების შესასრულებლად ყველაფერზე წამსვლელია. არაა გამორიცხული, რომ საქართველოს ბედი აზერბაიჯანმაც და ყაზახეთმაც გაიზიაროს.

ნატოსათვის კარგი იქნებოდა, რომ მას მაგალითი რუსეთისაგან აეღო და იგივე საბჭოური ქრესტომათიული მოდელის მიხედვით დაეწყო მოქმედება – როცა კრემლი მეთოდურად და ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს დაკარგული იმპერიის აღდგენას.

– დღეს რუსეთი საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტს აკონტროლებს და ეს რიცხვი, ალბათ, მომავალში გაიზრდება. ამერიკის შეერთებული შტატები ადრე საზღვარგარეთ დემოკრატიასა და თავისუფლების დამცველი იყო და ეს პოლიტიკა უნდა დაბრუნდეს. ამისათვის რუსეთთან ომი საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ აშშ-ის ხელმძღვანელობის მტკიცე ნება, რაც ასე გვაკლდა ბოლო ორი საპრეზიდენტო ვადის მანძილზე, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

**ნიუსპრესი**

# უეინ რუნი მოედანს აპრილის შუა რიცხვებში დაუბრუნდება



უეინ რუნის უკვე თვენახევარია, ტრავმა აწუხებს. მოედანზე ბოლოს ის 13 თებერვალს გამოვიდა. ამჟამად რუნი თავს უკეთ გრძნობს და 2 კვირაში მწყობრში იქნება. მანჩესტერ იუნაიტედს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის წინ, რომლებშიც უეინ რუნის გამოცდილება და სათამაშო კლასი აუცილებლად გამოადგება.

გარდა ამისა, ევრო 2016 ახლოვდება და რუნი ინგლისის ნაკრების ლიდერია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში უეინი ველარ აჩვენებს ისეთ შედეგიან თამაშს, როგორც ადრე.

16 აპრილს მანჩესტერ იუნაიტედი ასტონ ვილას დაუპირისპირდება და რუნის დაბრუნებაც სწორედ ამ შეხვედრაშია მოსალოდნელი.

# რემი გარდმა ასტონ ვილა დატოვა



ბირმინგემის ასტონ ვილა მწვრთნელის გარეშე დარჩა. ფრანგმა სპეციალისტმა რემი გარდმა ასტონ ვილა დატოვა და გუნდს დროებით მისი თანაშემწე უხელმძღვანელებს. ასტონ ვილა ინგლისის ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერია და ბირმინგემელებს პრემიერ ლიგაში დარჩენის შანსი არ აქვთ.

გარდი ასტონ ვილას მწვრთნელად ნოემბერში დაინიშნა, როდესაც ცუდი შედეგების გამო ტიმ შერვუდი გაანთავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ გარდს დიდი გამოცდილება აქვს, მისი თავკაცობით ასტონ ვილამ ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

ასტონ ვილას 31 თამაშის შემდეგ მხოლოდ 16 ქულა აქვს, რაც ამ გუნდის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია.

# გონსალო იგუაინს ნაპოლის დატოვება სურს



ნაპოლის არგენტინელ ფორვარდს გონსალო იგუაინს გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმება არ სურს.

იგუაინი წელს შესანიშნავ სეზონს ატარებს და ნაპოლიმ მას არაერთხელ შესთავაზა ახალი კონტრაქტი, მაგრამ გონსალო უარზეა, რადგან ზაფხულში უფრო ძლიერ კლუბში აპირებს გადასვლას.

იგუაინს კონტრაქტი 2018 წლის ზაფხულში ეწურება და სავარაუდოდ არგენტინელი ფორვარდი უფრო ადრე დატოვებს ნაპოლის.

იტალიიის ჩემპიონატში გონსალო იგუაინის ანგარიშზე 30 შეხვედრაში 30 გატანილი გოლია და ეს მთელ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პოგბას მსურველთა რიცხვი და ფასი იზრდება, ალეგრი იუვეში რჩება

საფეხბურთო სამყაროში პოლ პოგბას შესაძლო ტრანსფერს ერთ-ერთ გრანდში ისეთივე მოლოდინის რეჟიმი აქვს, როგორც დიდ ეკრანებზე „შურისმაძიებლების“ ახალ ფილმს, რომლის პრემიერა მაისში არის დაგეგმილი.

იტალიური მასმედიის მოსაზრებით, ფრანგი შუახაზელი ტურინს ზაფხულში დატოვებს. მსურველები ჩელსის, სიტის, პსჟს, ბარსას და რეალის სახით საკმაოდ გავლენიანები ჰყავს...

ბოლო პერიოდში ლონდონელები გააქტიურდნენ, მაგრამ პოგბასთან დაახლოებული წრე სკეპტიკურად არის განწყობილი. ფრანგს ჩემპიონთა ლიგაზე სურს ასპარეზობა, რაც დღევანდელი ჩელსისთვის მიუღწეველი მიზანია. ამიტომაც ჰორიზონტზე მყოფ ბარსას და რეალს უკეთესი პოზიციები გააჩნიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ იუვემ დათმო, იგი მხოლოდ კოლოსალური თანხის სანაცვლოდ, რომელიც 95 მილიონ ევროზე მეტი იქნება.

ტუტოსპორტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იუვენტუსის ხელმძღვანელობა მასიმილიანო ალეგრისთან კონტრაქტის გა-



ხანგრძლივებას მიმდინარე კვირაში აპირებს.

იტალიელი სპეციალისტის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ვადა 2017 წლის ივნისში ეწურება, თუმცა კონტრაქტი კიდევ ერთი წლით უნდა გახანგრძლივდეს.

ახალი კონტრაქტით, კალიარის ექს-დამრიგებელი ბიანკონერებში 4 მილიონ ევროსა და ბონუსებს მიიღებს.

ალეგრიმ ტურინში მოსვლიდან პირველივე სეზონში სკუდეტო და კოპა იტალია მოიგო, ასევე გუნდი გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, იუვემ ჩემპიონთა ლიგა უკვე დატოვა, თუმცა სკუდეტოს მოგების მთავარი ფავორიტია, ასევე გასულია იტალიის თასის ფინალში.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


# ასტროპროგნოზი
## 31 მარტისათვის



**ვერძი** – ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ და არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **კურო** – თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების საღად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **ტყუპები** – ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **კირჩხიბი** – კოლეგები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილი არიან. ახალი სასიყვარულო კავშირი პრობლემების მეტს არაფერს მოგიტანთ. **ლომი** – რთული და დაძაბული დღეა. დიდია კონფლიქტების ალბათობა. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებენ. **ქალწული** – დაძაბული დღეა. გახსოვდეთ – ცხოვრება ბრძოლაა. ახალი იდეების განხორციელებას თამამად შეუდექით. ფინანსებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – ნებისყოფა მოიკრიბეთ და დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. წარმატება გელით კარიერასა და ფინანსურ ოპერაციებში. **მორიელი** – კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ბავშვებთან ურთიერთობისას მეტი სითბო და ტაქტი გმართებთ. **მშვილდოსანი** – მამაკაცები, რომლებიც სახელოვნებო სფეროს განეკუთვნებიან, დიდ წარმატებებს მიაღწევენ და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცევიან. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში კეთილგონიერება და ინტუიცია დაგეხმარებათ. **თხის რქა** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით – მამაკაცებისათვის. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. **მერწყული** – სიტუაციის მიხედვით იძულებული ხართ, სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – ყოველგვარი აქტიურობა მინიმუმამდე დაიყვანეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კინოპრემია ესპანეთში; 2. საკვები პროდუქტების ზედაპირზე წარმოქმნილი სოკოვანი ფენა; 3. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 4. იაპონური ლოგიკური მაგიდის სათამაშო; 5. ფრანგული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 6. ყურძნის არაყი; 7. ახალი ზელანდიის აღმომჩენი ჰოლანდიელი ზღვაოსანი; 10. ლოკომოტივების, ვაგონების სადგომი; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 12. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 16. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 18. კვიპროსის დედაქალაქი; 19. გია დანელიას კინოკომედია; 21. მტაცებელი ფრინველი; 24. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა.

**თარაზულად:** 1. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. მოდუღებული ყურძნის წვენი; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 9. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 14. მდინარე ბერლინში; 15. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის მოდელი, ნიმუში; 17. გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი; 20. გეომეტრიული ფიგურა; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 23. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 25. უკრაინული ბორჩში; 26. რძის პროდუქტი; 27. საცხენოსნო შეჯიბრება; 28. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 2. ნეპტუნი; 3. ტარიბანა; 4. აპერიტივი; 5. სოტბი; 6. ასკილი; 8. იგუანა; 11. მარტელი; 14. ნაცარქექია; 15. ჩანადირი; 16. აუდენცია; 17. ვარძია; 19. ანორაკი; 21. ქინთი; 22. ბახში.

**თარაზულად**: 1. ანოტაცია; 5. საბა; 7. სვინგი; 9. აპარტამენტი; 10. კამბუზი; 12. ფლორინი; 13. ალიანსი; 16. ავლაბარი; 17. ვატი; 18. ქარვა; 20. ბოროდინი; 22. ბრიზი; 23. გრანიტი; 24. ცაცხვი; 25. თოლია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პეჟო; 2. აია; 3. კალაჰარი; 4. რა; 5. ჩანტლაძე; 6. იაგო; 7. მოურავი; 10. ლეკი; 11. ბუდაპეშტი; 12. ჯაბახანა; 13. კედი; 16. კომბლე; 18. გალუაზი; 19. ხმიადი; 21. დათვი; 24. რაცია.

**თარაზულად**: 1. პუბლიკა; 3. კაბურა; 8. მაღარო; 9. ჟოლო; 14. რკინა; 15. ქემელი; 17. ბანა; 20. რაპიდი; 22. ძმარი; 23. მოხერი; 25. წრე; 26. ბასი; 27. მუზა; 22. ცურტაველი.

# „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეთა ვინაობა გასაჯაროვდა



5 აპრილიდან „იმედის“ ეთერში მეგაშოუს „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეექვსე სეზონი დაიწყება. პროდიუსერებმა ამ სეზონს უპიკური უწოდეს, რადგან ის საერთაშორისოა და ქართველებთან ერთად უცხოელი მონაწილეებიც ეყოლება.

შოუს მეექვსე სეზონს ნანკა კალატოზიშვილი, მანიკა ასათიანი და კახა კინწურაშვილი გაუძღვებიან. ტიტულის მოსაპოვებლად კი ერთმანეთს შეეჯიბრებიან მომღერლები ლიზა ყენია, ნინი წიკლაური, ანდრია გველესიანი, მსახიობები ეკა ამირეჯიბი, დუტა სხირტლაძე და ჯანო იზორია, მოდელები ნუკა ყარალაშვილი და ანა ახვლედიანი.

რაც შეეხება პროფესიონალ მოცეკვავეებს, პროექტში იცეკვებენ მზია ორველაშვილი, სალომე ჭაჭუა, რატი გაჩეჩილაძე, ლევან ახვლედიანი. გავრცელებული ინფორმაციით, მეექვსე სეზონში მონაწილეობას არ მიიღებენ ოთო ფოლადაშვილი და ჯულიანა ბარგნარი.

როგორც პროექტის პროდიუსერები აცხადებენ, ეს მონაწილეთა მხოლოდ ნაწილია, სულ მალე დარჩენილ მონაწილეთა ვინაობაც გახდება ცნობილი.

# ვაჟა აზარაშვილი: „დღეს მეტი პრობლემა არ გვაქვს, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე არ ვილაპარაკოთ?“



კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ბოლო დროს ლგბტ თემის პოპულარიზაციას ეხმაურება და საზოგადოებას და ხელისუფლებას რეალურ პრობლემებზე დაფიქრებასა და მათი გადაჭრის გზების პოვნას ურჩევს.

**ვაჟა აზარაშვილი:**

— ქართველები ამდენი საუკუნეა მოვდივართ, როდის გვქონდა ჩვენ დამწერლობა, კულტურა. გავიხსენოთ მამაკაცის დამოკიდებულება ქალის მიმართ, ქალის კულტი, პატივისცემა, ქართულ ცეკვაში როგორი დამოკიდებულებაა ქალსა და მამაკაცს შორის, ქალი მოწიწებული და მორიდებულია, მამაკაცი კი რაინდი და მასზე მზრუნველი.

ეს ყველაფერი ისტორიულად მოდის და დღეს მეტი პრობლემა არ გვაქვს, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ვილაპარაკოთ? ქართველი კაცის ბუნებაში არ არის ეს. ქართველი კაცის ღირსება არ არის ეს! თუ ვინმეს სჭირს ეს უბედურება, იყოს ჩუმად თავისთვის თავის პარტნიორთან და საჭირო არ არის აქ ქორწილები, ჯვრისწერები და გაფორმებები. ეს სამარცხვინო ფაქტია. თვითონ უნდა რცხვენოდეთ. „პარადებს“ რომ აწყობენ აქ, ეს რას ნიშნავს? გჭირს უბედურება, იყავი შენთვის. ვინ გავიწროვებს? ვინ გიშლის? არც არავინ.

ამაზე ჩვენ საერთოდ არ უნდა ვმსჯელობდეთ. მეტი საქმე და პრობლემა არ გვაქვს? ნუ გადავგვარდებით საერთოდ. ეს ცივილიზაცია არ არის. ვისაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჰქონდეს იმ ქვეყანაში, ქართველი ხალხი ამას კი არ დაუშვებს არც ერთ ვარიანტში. სირცხვილია! — განაცხადა „პრიორიტეტში“ სტუმრობისას კომპოზიტორმა.

# 24 წლის პოეტმა 25.000 ლარი მოიგო

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ინტელექტუალურმა შოუმ „ცოდნა ფულია“ პირველი გამარჯვებული გამოავლინა.

ახალგაზრდა პოეტმა დავით პაქსაშვილმა 25.000 ლარი მოიგო. მან ფინალამდე ლოგიკური მსჯელობით და ხანგრძლივი ფიქრით მიაღწია. დუტა სხირტლაძის მიერ დასმულ ბოლო, მეცამეტე შეკითხვასაც სწორი პასუხი გასცა და სოლიდური თანხის მფლობელი გახდა.

დავით პაქსაშვილის გამარჯვების შეკითხვა ასე ჟღერდა: „ქრისტეს გენეალოგიის აღწერისას, ვინ შვა იორამმა მათეს სახარების მიხედვით?“ სავარაუდო პასუხები კი იყო „ყუზია“, „ახაზი“, „მენაშე“ და „იოშია“. საბოლოო პასუხად დათომ „ყუზია“ დაასახელა და პროექტის პირველი გამარჯვებული გახდა.

როგორც განაცხადა, მოგებული თანხით დაასრულებს თავის ალბომს, აისრულებს დიდი ხნის ოცნებას, ივლის იოგაზე და დაეხმარება იმ ადამიანებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

დათოს გამარჯვებას ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოყვა.

**თაკო გაჩეჩილაძე, მომღერალი:**

— ბევრი ასეთი ახალი თაობა სჭირდება საქართველოს. ბრავო!

**სერგი კაპანაძე, ინტელექტკლუბის მოაზროვნე:**

— შოუში „ცოდნა ფულია“ ერთმა 24 წლის ტატუებიანმა, ჰიპსტერმა, თმაკიკინა მუსიკოსმა მაგარი ცოდნა აჩვენა და 25.000 ლარი მოიგო. ამ ფულს მუსიკალური ალბომის დასასრულებლად და იოგასთვის დროის გასათავისუფლებლად დავხარჯავო. ჰოდა, უნდა უყურონ ამ ახალ თაობას რეზო ამაშუკელისებრთა მსგავსებმა და გულზე გასკდნენ, ხოლო იმავე თაობის შავჯინსებ და შავტყავისკურტკებში გამოწყობილებმა იქნებ გაიგონ, რომ სუფრებზე ჭიქების ჯახუნს და გულში მჯიღის ცემას და თავისუფალ დროს ანტი-ლგბტ და „გადავარჩინოთ ქართველობა“ აქციებში მონაწილეობას, წიგნები წაიკითხონ, გაერთონ, ტატუები გაიკეთონ, ცხვირები გაიხვრიტონ და, ზოგადად, იცხოვრონ ლაღად და თავისუფლად, ის ურჩევნიათ...

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი:**



— რა მაგარი ბიჭია დათო პაქსაშვილი. 25.000 ლარი მოიგო. ამაზე მნიშვნელოვანია, როგორ დახარჯავს ის ამ ფულს. ალბომზე მუშაობას დაამთავრებს, იოგაზე ივლის და მეგობრებს დაეხმარება. კითხვაც მნიშვნელოვანია, რომელმაც 24 წლის ბიჭს ეს თანხა მოაგებინა. ვინ იცის, რამდენი დათო პაქსაშვილია ჩვენს ირგვლივ. უბრალოდ არ ჩანან. ჩუმად აკეთებენ თავის საქმეს, იღებენ განათლებას. აშკარად უფრო მეტნი არიან, ვიდრე მეჭიაურები და ლორთქიფანიძეები. ამიტომაც გადავრჩებით!

# თავისუფალი თეატრი 15 წლისაა

თავისუფალი თეატრი 15 წლისაა. იუბილეს ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დაარსებული თეატრი 31 მარტს აღნიშნავს. საიუბილეო თარიღს თეატრის დასი აღნიშნავს მის რეპერტუარში არსებული ყველაზე სუფთა სპექტაკლით „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“.

— მობრძანდით ჩვენს იუბილეზე ამ სპექტაკლის სანახავად თქვენს შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, მობრძანდით შეყვარებულებთან ერთად და ყველამ ერთად აღვნიშნოთ „თავისუფალი თეატრის“ დაბადების დღე, — აცხადებს თეატრის დამაარსებელი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

სპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძეა, მთავარ როლებს ასრულებენ აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, სალომე ჭულუხაძე.




# ნანა მჭედლიძეს ხონში დაკრძალავენ



ცნობილ რეჟისორს, მსახიობსა და სცენარისტს ნანა მჭედლიძეს მისი ანდერძის თანახმად მის მშობლიურ ხონში დაკრძალავენ. 90 წლის ხელოვანი იუბილედან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მას ხონის წმინდა გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ და ხონშივე დაკრძალავენ. ოჯახის წევრების განცხადებით, „თავად ანდერძი აქვს, რომ არ უნდა ქვეყნის შეყრა და მივყვეთ მის ნებას. მისი ანდერძის მიხედვით დაიკრძალება ხონში. არავისთვის შეგვიტყობინებია. 31 მარტს ხონში დავკრძალავთ“.

— „სამოციანელთა თაობის“ გამორჩეულმა რეჟისორმა, არაჩვეულებრივი იუმორითა და სიყვარულით გადმოსცა იმერეთის და იმერლების ცხოვრების ეპიზოდები ლეგენდარულ ფილმში „იმერული ესკიზები“, სადაც თავადაც შექმნა იმერელი ბებიის დაუვიწყარი სახე. ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი იხსენებდა, როცა ადამიანი მარტო რჩება საკუთარ თავთან, სურვილი გიჩნდება, თვალი გადაავლო შენს განვლილ ცხოვრებას. მეც გამიჩნდა სურვილი და ნოსტალგია, განსაკუთრებით, ჩემი ბავშვობის მიმართ და გადავწყვიტე, ფილმში ყველაფერი ერთად მომექცია. ერთ მშვენიერ დღეს, დავჯექი და ყველაფერი დავწერე. სანამ ფილმზე მუშაობას დავიწყებდი, პატარა ნოველები მქონდა დაწერილი, რომელსაც ასევე ერქვა „იმერული ესკიზები“. ძალიან მინდოდა, ეთამაშათ არა ცნობილ მსახიობებს, არამედ იმ ადამიანებს, ვინც ხონში ცხოვრობდა. მართალია, ხონელი ვარ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდი მთავარი როლის შესრულებას, აზრადაც არ მომსვლია თავში. ვფიქრობდი, რომ ამ როლს ძალიან მოუხდებოდა სესილია თაყაიშვილი. თვითონაც თანახმა იყო, მაგრამ, გადაღებები რომ უნდა დაგვეწყო, ავად გახდა და ველარ გადავიღეთ... მაშინ კინოსტუდიის დირექტორი რეზო ჩხეიძე იყო, სწორედ მან მომაწოდა იდეა, თვითონ მეთამაშა. ჯგუფის დირექტორმაც მითხრა: შენი თავი მოსინჯე. თუ არ მოგეწონება, ნუ ითამაშებო. მომეწონა, მაგრამ, სხვებს უფრო მოეწონათ და ასე დავრჩი ეკრანზე.

**გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

— დიდ გულისტკივილს გამოვთქვამ რეჟისორისა და მსახიობის ნანა მჭედლიძის გარდაცვალების გამო. ნანა მჭედლიძე მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართულ კინოს. მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეულმა, ყველასათვის საყვარელმა რეჟისორმა მდიდარი შემოქმედება დაგვიტოვა მემკვიდრეობად. მისი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და იმ კინოფილმებიდან გავრცელებულ ფრთიან ფრაზებში გააგრძელებს სიცოცხლეს, დღესაც სიამოვნებით რომ უყურებს ყველა თაობის მაყურებელი. თანავუგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და საყვარელია ნანა მჭედლიძის შემოქმედება.

**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

— ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ რეჟისორისა და მსახიობის ნანა მჭედლიძის გარდაცვალების გამო. ქალბატონი ნანას მიერ შექმნილი არაერთი ფილმი მაყურებელთა თაობებმა შეიყვარა და გაითავისა. იგი გამორჩეულ ფიგურად დარჩება ქართული კინოხელოვნების ისტორიაში. ამ მძიმე წუთებში ვუსამძიმრებ და თანადგომას ვუცხადებ ქალბატონი ნანას ოჯახსა და ახლობლებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ჩემო მაგდანა! ვიზიარებ შენს ღრმა მწუხარებას შენი დედისა და ჩემი საყვარელი ნათლიის, ქალბატონი

**ნანა მჭედლიძის**

გარდაცვალების გამო.

*ირინე მანჯგალაძე*

---

მაგდანა! ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას დედის

**ნანა მჭედლიძის**

გარდაცვალების გამო. ვწუხვართ, დაკრძალვას რომ ვერ ვესწრებით.

დალილა მიქელაძე, მერაბი და ნიკუშა მანჯგალაძეები

---

პარტია „მემარცხენე ალიანსი“ სამძიმარს უცხადებს პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარეს სოფიკო კარტოზიას ბებიის

**ვერა (მერი) გნოლიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 31 მარტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **10.50, 23.00** ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ტრანსმისისა" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "ინტერვიუ" — სალომე ასათიანთან ერთად **21.00** თოქ-შოუ "რეალური სივრცე **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი"" **0.00** "კომუნიკატორი" **1.10** მხ/ფ "**თავისუფლების ყიჟინა**" (კ.კალინი)

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **13.00** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **14.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **16.00** დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ. "**სულელი**" (ბ.მერფი) **01.55** მხ/ფ. "**მელიებზე მონადირე**" (ვ.რედგრეივი) **04.05** ერთხელ საქართველოში

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**9.00, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) **9.30, 15.30** Discovery - როგორ არის დედამიწა მოწყობილი **10.30, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ძვლები**" **16.30** საუკეთესო ხელნაკეთი **20.30 20.30 22.00** ბინა **18 23.00** მხ/ფ "**გოლი**" **1.10 ID Extra -** მოჩვენებებით შეპყრობილი **2.10, 4.00** URBAN STORIES **3.00,** ჯიდიპედია

**06.15** პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** დ/ფ "ოვალური ბურთი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება **12.20** მხ/ფ "**ძმა**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ ან/ფ **15.40** ყველაზე, ყველაზე..."ბუნებრივი კატასტროფები" **15.50** დ/ფ "მარტოსულები" II **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** დრო და ადამიანები "ზვიად გამსახურდია" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** საქართველოს ქალაქები "სიღნაღი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00** სერ. "**დამცინავი ღიმილი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ცოდვილი სისხლი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3745

ევრო — 2.6602

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3891

100 რუსული რუბლი — 3.4610

**ამინდის პროგნოზი 31 მარტისთვის**





## 29 მარტიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## პაულო კოელიო

## ადიულტერი




ლინდამ იცის, რომ გაუმართლა. ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრება აქვს. სხვების თვალში რესპექტაბელური მეუღლე, მოსიყვარულე დედა და ამბიციური ჟურნალისტია, თუმცა ყოველ დილას თვალის გახელისას მხოლოდ აუტანელ სიცარიელეს გრძნობს.

ყველაფერი იცვლება, როდესაც მის ცხოვრებაში მოულოდნელად ვნება ჩნდება. ლინდა დგება არჩევანის წინაშე, რომელმაც შეიძლება მთელი მისი ცხოვრება შეცვალოს.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**



## გაზეთი ახალი თაობა წარმოგიდგენთ სერიას

## ნობელიანტები ლიტერატურაში

**26 მარტიდან — ერნესტ ჰემინგუეი. იქ, მიჩიგანში**

**2 აპრილიდან — თომას მანი. ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება**

**9 აპრილიდან — ჯონ გოლზუორთი. ფორსაიტების ხსნა**

## №1 ლიტერატურული ჯილდო

ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 1901 წლიდან გაიცემა და წლის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კულტურულ მოვლენადაა აღიარებული.

რამდენიმე წლის წინ გამომცემელმა კახმეგ კუდავამ გადაწყვიტა, ნობელის პრემიის ლაურეატების სერიით გამოეცა უკლებლივ ყველა ნობელიანტი, განურჩევლად ჟანრისა და ავტორის ცნობადობისა.

ნობელის პრემიის ლაურეატთა 90-ზე მეტი წიგნი – რომანები, პროზაული და პოეტური კრებულები, ესეისტიკა და ლიტერატურული პორტრეტები – სხვადასხვა დროს არაბულიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან, ებრაულიდან, ესპანურიდან, თურქულიდან, ინგლისურიდან, იტალიურიდან, პოლონურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, შვედურიდან, ჩინურიდან თვალსაჩინო ქართველმა მთარგმნელებმა თარგმნეს.

თითოეულ გამოცემას ერთვის შესავალი წერილი, სადაც მოთხრობილია მწერლისა და ნაწარმოების მნიშვნელობაზე; ასევე სანობელო ლექცია, რომელსაც ტრადიციულად ჯილდოს ოფიციალური გადაცემის დროს კითხულობენ ნობელმინიჭებული ავტორები.



## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## 1 აპრილიდან

## იესო ქრისტეს ნათლისღება

**წიგნი შედგენილია არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით**




ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი



## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

**შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით**














25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


## არიენ რობენი ტრავმის გამო თვეზე მეტს გამოტოვებს



ჰოლანდიელი ფეხბურთელი არიენ რობენი წლევანდელ სეზონში ტრავმებმა გააწამა. ერთი კვირის წინ რობენმა კიდევ ერთი ტრავმა მიიღო, რის გამოც მან ჰოლანდიის ნაკრების ამხანაგური შეხვედრები გამოტოვა.

ექიმებმა არიენს ზუსტი დიაგნოზი დაუსვეს და ცნობილი გახდა, რომ ჰოლანდიელი დაახლოებით 5 კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რობენი ბაიერნს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ შეხვედრებში ბენფიკასთან ვერ დაეხმარება.

ტრავმების გამო წლევანდელ სეზონში არიენ რობენმა მხოლოდ 15 შეხვედრა ჩაატარა თავისი გუნდის შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, რობენი ბაიერნის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და მის გარეშე გერმანულ კლუბს თამაში უჭირს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



სოფლის მოსახლეს მამაკაცი ეკითხება:

– მასპინძელო, რკინიგზის სადგურთან აქედან მალე მივალ?

– მეიცა, ძაღლს ავუშობ...

●●●

ავადმყოფი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, მიშველეთ! ნებისმიერ თანხას გადავიხდი!

– კარგი... მხოლოდ ფული წინასწარ გადამიხადე, თორემ სულ ასეა, კაცს დაეხმარები, ის კი ჩაწვება კუბოში და ისეთ სახეს იღებს, ვითომ ვერ მცნობს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ფული აფუჭებს ადამიანს.

– ჰოდა, ამიტომ ჩვენი მთავრობა ყველანაირად ცდილობს, რომ მოსახლეობა არ გაფუჭდეს.

●●●

კაცს ცოლი დაეღუპა. პანაშვიდია, ხალხი სამძიმრის სათქმელად მოდის და უცბად კაცი გაქრა, ვერსად პოულობენ. ეძებენ, ეძებენ და ბოლოს მეორე სართულზე ავლენ და ხედავენ, კაცი ცოლისდასთან წევს. კაცს ნათესავები ლანძღავენ:

– კაცო, შე უნამუსო, რას ჩადი, გაგიჟდი?

– აბა, ახლა მე ჭკუა მომეკითხება? – სლუკუნით მიუგო კაცმა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– სახლი ტარაკანებით გამევსო და ვერაფერი მოვუხერხე.

– ტარაკანების საწინააღმდეგო ცარცი სცადე?

– კი.

– მერე?

– სხედან და ხატვით ერთობიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## კალეიდოსკოპი

## ბრიტანელი ქალი საკრუიზო ლაინერს ცურვით გამოეკიდა



ბრიტანელი ქალბატონი სიუზან ბრაუნი ცდილობდა ცურვით დასწეოდა პორტიდან გასულ საკრუიზო ლაინერს. აღნიშნული ინციდენტი პორტუგალიაში მოხდა.

65 წლის ტურისტი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. მან ექიმებს განუცხადა, რომ წყალში იმიტომ გადახტა, რომ იფიქრა, მარკო პოლოს გემბანზე მისი ქმარი მაიკლი იმყოფებოდა.

როგორც ბრაუნმა განმარტა, მან და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს გემით მოგზაურობა შეეწყვიტათ და სამშობლოში დასაბრუნებლად თვითმფრინავის ბილეთები შეიძინეს. მადეირას აეროპორტში მან ქმარი დაკარგა, რის შემდეგაც იფიქრა, რომ ის საკრუიზო ხომალდზე დაბრუნდა.

აღსანიშნავია, რომ ქალმა წყალში სამ საათზე მეტი დაჰყო, რის გამოც სხეულის გადაციება დაემართა. ბრიტანელი ქალბატონი ადგილობრივმა მეთევზეებმა გადაარჩინეს. ამჟამად მასთან ფსიქიატრები მუშაობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. ქალაქი ვაშინგტონის შტატში, სადაც განთავსებულია კონცერნ „ბოინგის“ მთავარი საწარმო; 3. ალპინისტთა ექსპედიცია რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. თირკმელზედა ჯირკვლის გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფებარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ელემენტი; 17. ტაივანის დედაქალაქი; 19. იტალიური რესტორანი; 21. სურნელოვანი ბოსტნეული მცენარე; 22. ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. ზანგური მუსიკის ჟანრი, ჯაზის წინამორბედი; 5. მუსლიმთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. მსხლის ფორმის ნაყოფის მქონე საჭმელი ზეთით მდიდარი ტროპიკული ხე; 16. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 17. პარაზიტი, მკბენარი მწერი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი ძველად.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა





ლურჯი წითელი ყვითელი შავი